

მეკაცვაბუღაბიტი საბარტი

თობას ჰერბანი



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

თომას ჰერმანი

მტკიცებულებითი სამართალი

(კონსპექტი)

ეთერ ჩაჩანიძის თარგმანი

თბილისი, 2016

წინამდებარე ნაშრომი გამოცემულია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით. Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) გერმანიის ფედერალური მთავრობის დავალებით მუშაობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იგი მხარს უჭერს გერმანიის ფედერალურ მთავრობას, განახორციელოს სხვადასხვა პროექტები საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით. 1993 წლიდან GIZ ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. მისი მიზანია სამართლებრივი სახელმწიფოს საკითხებზე ტრანსნაციონალური დიალოგის წარმართვა და კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფი სამართლებრივი სისტემის განმტკიცება. სხვა ღონისძიებებთან ერთად, ადგილობრივი და გერმანელი ექსპერტების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით ხორციელდება საკანონმდებლო კონსულტაციები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები და გამოცდილების გაზიარება. გარდა ამისა, GIZ ხელს უწყობს იურიდიული ლიტერატურის შექმნას და სამართლის პოპულარიზაციას.

GIZ-ის სამართლის პროგრამის პუბლიკაციების ელექტრონული ვერსიების ჩამოტვირთვა შესაძლებელია ვებ-გვერდიდან: <http://lawlibrary.info/ge/>

GIZ არ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე ნაშრომის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.



giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

სარჩევი

I. მტკიცებულებითი სამართლის ძირითადი პრინციპები	3
1. მტკიცებულებათა შეგროვების საჭიროება	3
ა) მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების საკმარისობა.....	3
ბ) მოპასუხის შეცილება.....	5
გ) განსაკუთრებული შემთხვევები, სადაც ზედმეტია მტკიცებულებათა შეგროვება	6
დ) დასკვნა.....	7
2. მტკიცების ტვირთის განაწილება	7
ა) მტკიცების ტვირთის განაწილება	7
აა. პრინციპი.....	7
ბბ. მტკიცების ტვირთის შებრუნება.....	8
გგ. მტკიცების ტვირთის შემსუბუქება (აშკარა, უდავო მტკიცებულება).....	9
ბ) მოსამართლის მითითება არასაკმარისი ან არანაირი მტკიცებულების წარდგენისას .	10
გ) მტკიცების ტვირთის განაწილების მნიშვნელობა გადაწყვეტილებისათვის	10
3. მტკიცებულებათა სახეები და მათი შეგროვება	11
ა) მტკიცებულებათა სახეები	11
აა. წერილობითი მტკიცებულება (სსსკ-ის 134-139-ე მუხლები).....	11
ააა. განსხვავება ხელმოწერილ და ხელმოუწერელ წერილობით მტკიცებულებებს შორის	11
ბბბ. ხელმოწერილი წერილობითი მტკიცებულების ნამდვილობის ვარაუდი.....	13
გგგ. მტკიცების ტვირთის განაწილება საბუთის არასრულყოფილებაზე ან მანიპულაციაზე მითითებისას	15
ბბ. მოწმეები (სსსკ-ის 140-153-ე მუხლები).....	16
დდ. ნივთიერი მტკიცებულება (სსსკ-ის 154-161-ე მუხლები).....	18
ეე. პროცესში მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებები (სსსკ-ის 127-133-ე მუხლები).....	19
ბ. მტკიცებულებათა შეგროვება	19
გ. მტკიცებულებების შეგროვების თაობაზე შუამდგომლობის არდაკმაყოფილება	19
4. მტკიცებულებათა შეფასება	20
ა. მტკიცებულებათა შეფასება სასამართლოს შინაგანი რწმენის საფუძველზე.....	20
ბ. როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე კონკრეტულ შემთხვევაში	21
II. სავარჯიშო კაზუსები.....	27
კაზუსი №1	27
როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე ამ შემთხვევაში?	31
I ნაბიჯი — სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძებნა	31
II ნაბიჯი — მოსარჩელის ახსნა-განმარტების შემოწმება	32
III ნაბიჯი — მოპასუხის ახსნა-განმარტების შემოწმება	33
IV ნაბიჯი — მტკიცების ტვირთის საკითხის გარკვევა	33
V ნაბიჯი — მტკიცებულებების შეგროვება.....	34
VI ნაბიჯი — მოწმეთა ჩვენებების შეფასება	37

სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ნიმუში.....	40
კაზუსი №2:	42
როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე ამ შემთხვევაში?	46
I ნაბიჯი — სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძებნა	46
II ნაბიჯი — მოსარჩელის ახსნა-განმარტების შემოწმება	46
III ნაბიჯი — მოპასუხის ახსნა-განმარტების შემოწმება	47
IV ნაბიჯი — მტკიცების ტვირთის საკითხის გარკვევა:	47
V ნაბიჯი — მტკიცებულებების შეგროვება:.....	48
VI ნაბიჯი — მტკიცებულებათა შეფასება.....	51
სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ნიმუში.....	55

მტკიცებულებითი სამართალი (კონსპექტი)

I. მტკიცებულებითი სამართლის ძირითადი პრინციპები

სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმეთა მოსამართლეს, უპირველეს ყოვლისა, ორი ამოცანა აქვს დასაძლევია: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში, რაც ხშირად არც ისე იოლია, ვინაიდან უმეტესად იმის გარდა, რომ მოსარჩელის ჩვენება არ არის მკაფიო და საჭიროებს გამორკვევას, იგი არ ემთხვევა მოპასუხის ჩვენებას; შემდგომ მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი.

მტკიცებულებითი სამართალი განსაზღვრავს, (1) თუ როდის უნდა შეაგროვოს მოსამართლემ მტკიცებულებები, (2) ვინ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, (3) რა სახით უნდა მოხდეს ეს ყოველივე და (4) როგორ უნდა შეაფასოს მოსამართლემ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

1. მტკიცებულებათა შეგროვების საჭიროება

ა) მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების საკმარისობა

მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამის საფუძველზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს არ აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები.

უფრო კონკრეტულად: მოთხოვნა არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოცემულია კანონით გათვალისწინებული წინაპირობანი, ანუ ნორმის შემადგენელი ელემენტები. მაგალითად, სსკ-ის 648-ე და 649-ე მუხლების მიხედვით, ხელოსანმა შეთანხმებული საფასური შეიძლება მოითხოვოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი შეასრულებს თავის სამუშაოს და დამკვეთი მიიღებს მას. თუ დამკვეთი საფასურს არ იხდის და ხელოსანს

სურს მიმართოს სასამართლოს, მაშინ მან თავის სარჩელში უნდა მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომ:

- მან შემკვეთთან დადო ნარდობის ხელშეკრულება, რომლითაც შეთანხმდა საზღაურის ოდენობა;
- მან სამუშაო შეასრულა;
- შემკვეთმა მიიღო შესრულებული სამუშაო.

თუ ხელოსანი ვერ მოახსენებს სასამართლოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოების არსებობის შესახებ, მაშინ მას, მისივე ახსნა-განმარტებიდან გამომდინარე, არ ეკუთვნის საზღაური. ასეთი შემთხვევაა, მაგალითად, როცა ხელოსანი სასამართლოს განუცხადებს, რომ მან შემკვეთთან დადო ხელშეკრულება, მაგრამ სამუშაოს შესრულება ჯერ არ დაუწყია. ამ შემთხვევაში მოსამართლემ ყოველგვარი მტკიცებულების შეგროვების გარეშე არ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლემ უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოარკვიოს, თუ რა წინაპირობებს ითვალისწინებს კანონი სასარჩელო მოთხოვნის არსებობისათვის. ამის შემდეგ კი მან უნდა შეამოწმოს, მიუთითებს თუ არა მოსარჩელე თავის სარჩელში იმ გარემოებებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონით გათვალისწინებულ ყველა წინაპირობას. თუ სარჩელში მითითებული ფაქტები საკმარისი არ არის, მაშინ მოსამართლე უკვე ამ საფუძვლითვე არ დააკმაყოფილებს სარჩელს.

მოსამართლეს შეუძლია, ასეთი გადაწყვეტილება შემდეგნაირად დაასაბუთოს:

„სარჩელი არ დაკმაყოფილდება. მოსარჩელეს არ აქვს უფლება, მოითხოვოს მოპასუხისაგან შეთანხმებული გასამრჯელოს გადახდა. სსკ-ის 648-ე და 649-ე მუხლების მიხედვით, აღნიშნული მოთხოვნის არსებობის წინაპირობაა მოსარჩელისა და მოპასუხის შორის ნარდობის ხელშეკრულების არსებობა, სადაც შეთანხმებულია საზღაურის ის ოდენობა, რაზედაც მოსარჩელე მიუთითებს, გარდა ამისა, მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება და მოპასუხის მიერ შესრულებული სამუშაოს მიღება. მოსარჩელეს დასაბუთებულად არ განუცხადებია აღნიშნული წინაპირობების არსებობის შესახებ. მართალია, მოსარჩელე აცხადებს, რომ მას მოპასუხესთან დადებული აქვს ნარდობის ხელშეკრულება, მაგრამ მის განმარტებებში არ ჩანს, რომ მან უკვე შეასრულა სამუშაო და მოპასუხემ მიიღო იგი. მაშინ, როდესაც უკვე მოსარჩელეს ახსნა-განმარტების მიხედვით გამოირიცხება მოთხოვნის არსებობა, შესაბამისი მტკიცებულების ამოღება საჭირო აღარ არის“.

ბ) მოპასუხის შეცვლა

თუ მოსარჩელის წარდგინებაში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მისი მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზე დამოკიდებული, მოითხოვს, თუ არა, მოსამართლე მტკიცებულებების შეგროვებას.

თუ მოპასუხე დაეთანხმება მოსარჩელის მიერ წარდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს ან თუ მან აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი აზრი არ გამოთქვა (რაც ფაქტობრივად ნიშნავს, რომ იგი ამ გარემოებებს არ ხდის სადავოდ), მაშინ მოსამართლეს ამ გარემოებებთან დაკავშირებით აღარ სჭირდება მტკიცებულებათა შეგროვება. უდავო ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნევა ნამდვილად.

მაგალითი: თუ მოპასუხე დაეთანხმება იმ ფაქტს, რომ მან მოსარჩელესთან დადო ნარდობის ხელშეკრულება, ასევე იმას, რომ მოსარჩელემ უკვე შეასრულა თავისი სამუშაო, მიიღო კიდევ იგი და განაცხადებს, რომ ამ დროისათვის მას უბრალოდ თანხა არ აქვს, რომ გადაიხადოს გასამრჯელო, მაშინ მოსამართლე აღარ არის ვალდებული, შეაგროვოს მტკიცებულებები, რამეთუ მოპასუხის მიერ ფაქტების აღიარების გამო მოსარჩელის მოხსენება სიმართლედ ითვლება.

ხოლო თუ მოპასუხე სადავოდ გახდის მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს, მაშინ მოსამართლემ უნდა შეაგროვოს შესაბამისი მტკიცებულებები.

მაგალითი: მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მან მოპასუხესთან დადო ხელშეკრულება სახლის აშენების თაობაზე, რომელიც მან უკვე ააშენა და მოპასუხემ ჩაიბარა კიდევ მის მიერ შესრულებული სამუშაო. მოპასუხე კი აცხადებს, რომ სახლი ჯერ არ დამთავრებულა, ვინაიდან არ არის ჩასმული კარ-ფანჯარა. ამ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა შეაგროვოს მტკიცებულება იმის თაობაზე, დამთავრებულია თუ არა სახლის მშენებლობა.

თუ მოპასუხე სადავოდ ხდის ისეთ გარემოებას, რომელიც არ არის დაკავშირებული მოთხოვნის არსებობის კანონით გათვალისწინებულ წინაპირობასთან, მაშინ ეს არ არის მნიშვნელობის მატარებელი და, ამდენად, მოსამართლეს არ აქვს უფლება, აღნიშნული გარემოების თაობაზე შეაგროვოს მტკიცებულებები. სხვა შემთხვევაში, იგი ეწინააღმდეგება სსსკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ნორმას, ვინაიდან ასეთი გარემოება საქმისათვის არ არის მნიშვნელოვანი.

მაგალითი: მოსარჩელის განცხადებით, ის და მოპასუხე შეთანხმდნენ იმაზე, რომ მას უნდა აეშენებინა სახლი ავტოფარეხის გარეშე. ორი თვის წინ დასრულდა სახლის მშენებლობა და მოპასუხემ ჩაიბარა კიდევ შესრულებული სამუშაო. ამ ეტაპამდე

მოპასუხე ეთანხმება მოსარჩელის წარდგინებას, მაგრამ დასძენს, რომ მოსარჩელემ ავტოფარეხიანი სახლი ააშენა. მოპასუხის ეს განცხადება საქმისათვის უმნიშვნელოა, ვინაიდან, მოსარჩელის წარდგინების თანახმად, ხელშეკრულების საგანი იყო სახლის აშენება ავტოფარეხის გარეშე, რაც მოპასუხეს არ გაუხდია სადავოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს, მიუხედავად იმისა, აშენდა თუ არა ავტოფარეხი, შეუძლია მოითხოვოს გასამრჯელო შესრულებული სამუშაოსათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონი არ აწესრიგებს (პრაქტიკაში ხშირად არსებულ) შემთხვევებს, როდესაც მოპასუხე მოსარჩელის განმარტებებთან დაკავშირებით არანაირ პოზიციას არ აფიქსირებს ანუ უკომენტაროდ ტოვებს მათ და თავის შესაგებელში მხოლოდ სხვა საკითხებს ეხმაურება. აქ ისმის კითხვა, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოპასუხე არც ედავება და არც აღიარებს მოსარჩელის განმარტებებს? აქ მოსამართლეს, უპირველესად, შეუძლია გამოიყენოს სსსკ-ის 222-ე მუხლით გათვალისწინებული კითხვის დასმის უფლება. მას შეუძლია, ჰკითხოს მოპასუხეს მისი პოზიციის შესახებ ამა თუ იმ გარემოების თაობაზე. თუ მოპასუხე არ რეაგირებს მოსამართლის შეკითხვებზე, მაშინ მისი დუმილი უნდა ჩაითვალოს აღნიშნული გარემოებების აღიარებად, ვინაიდან მხარეებს ევალებათ, სრულად მოახსენონ სასამართლოს საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები და გამოხატონ მოსაზრება საწინააღმდეგო მხარის განმარტებების თაობაზე. ხშირ შემთხვევაში, ერთ-ერთი მხარის დუმილი თავიდანვე ჩაითვლება აღიარებად, თუკი მას ჰქონდა დრო და საშუალება იმისათვის, რომ გამოეხატა საკუთარი პოზიცია. ეს ხშირად გვხვდება საქმის წინაისტორიის თხრობისას ან იმ ხელშეკრულების ტექსტსა და მის ნამდვილობასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზე წარმოქმნილ სამართლებრივ შედეგებზეც დაობენ მხარეები. ასეთ შემთხვევებში მოსამართლის მიერ აღნიშნულ გარემოებათა უდავოდ მიჩნევა შეესაბამება პროცესის ეკონომიის პრინციპს. ასეთი პრაქტიკა მოქმედებს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მხარეს პროცესზე ჰყავს წარმომადგენელი ადვოკატის სახით, რომელმაც კარგად იცის, თუ რა არის მნიშვნელოვანი სამართლებრივი დავისას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი მართლმსაჯულებისა და ასევე მეცნიერების ფარგლებში განსჯას საჭიროებს.

გ) განსაკუთრებული შემთხვევები, სადაც ზედმეტია მტკიცებულებათა შეგროვება

სსსკ-ის 106-ე მუხლი ითვალისწინებს განსაკუთრებულ შემთხვევებს, როდესაც არ არის საჭირო მტკიცებულებათა შეგროვება. მტკიცებულებათა შეგროვება საჭირო არ არის ისეთ ფაქტებზე, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილია (სსსკ-ის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), ასევე ფაქტებზე, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო

საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ (სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). იგივე ვრცელდება ისეთ შემთხვევებზეც, როცა ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე (სსსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების მაგალითი: ხანძარი აეროპორტის სავაჭრო ცენტრში, რომლის შესახებაც თბილისის ყველა გაზეთი და ტელევიზია გვამცნობს; ასევე საჯაროდ გავრცელებული შეტყობინებები, როგორებიცაა ინფლაციის მაჩვენებლები ან არჩევნების შედეგები.

დ) დასკვნა

იმის გადასაწყვეტად, საჭიროა თუ არა მტკიცებულებათა შეგროვება, მოსამართლე, პირველ რიგში, ადგენს სასარჩელო მოთხოვნის არსებობის კანონისმიერ წინაპირობებს. შემდეგ იგი ამოწმებს, მიუთითებს თუ არა მოსარჩელე თავის წარდგინებაში ყველა ამ წინაპირობის არსებობაზე. თუ ეს ასე არ არის, მაშინ მოსამართლე არ დააკმაყოფილებს სარჩელს. სხვა შემთხვევაში კი იგი ამოწმებს, რომელ გარემოებებს აღიარებს მოპასუხე (ან არანაირ აზრს არ გამოთქვამს მათთან დაკავშირებით, რაც ფაქტობრივად ნიშნავს, რომ იგი ამ გარემოებებს არ ხდის სადავოდ) და რომელს ხდის იგი სადავოდ. თუ მოპასუხე სადავოდ ხდის ისეთ ფაქტებს, რომლებიც არ არიან კავშირში სასარჩელო მოთხოვნის კანონისმიერ წინაპირობებთან, მაშინ ეს არ არის მნიშვნელობის მატარებელი. ხოლო თუ მოპასუხე ისეთ ფაქტებს ედავება, რომლებიც დაკავშირებულია სასარჩელო მოთხოვნის კანონისმიერ წინაპირობებთან, მაშინ მოსამართლემ ამ ფაქტებთან დაკავშირებით უნდა შეაგროვოს მტკიცებულებები. გამონაკლისი შემთხვევები გათვალისწინებულია სსსკ-ის 106-ე მუხლში.

2. მტკიცების ტვირთის განაწილება

ა) მტკიცების ტვირთის განაწილება

აა. პრინციპი

თუ საჭიროა მტკიცებულებათა შეგროვება, მაშინ სსსკ-ის 102-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ რომელმა მხარემ უნდა წარადგინოს იგი. სსსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს მისთვის ხელსაყრელი გარემოება. ეს კი ძირითადად იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომელთაც ემყარება მისი მოთხოვნა. მოპასუხეს კი, თავის მხრივ,

ევალეზა იმ გარემოებათა დამტკიცება, რომელთაც ეყრდნობა მისი შესაგებელი (მაგ.: შესრულება, გაქვითვა, შესრულებაზე უარის თქმის უფლება ან ხანდაზმულობა).

მაგალითი: ხელოსანი, რომელიც დამკვეთისაგან მოითხოვს საზღაურის გადახდას, ვალდებულია დაამტკიცოს, რომ მათ შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რომ მან დაასრულა სამუშაოს შესრულება და რომ დამკვეთმა მიიღო იგი. დამკვეთმა კი, თავის მხრივ, უნდა დაამტკიცოს, რომ მან გასამრჯელო უკვე გადაიხადა ან რომ მას აქვს შესრულებაზე უარის თქმის უფლება.

ბბ. მტკიცების ტვირთის შებრუნება

კანონი ასევე ითვალისწინებს სსსკ-ის 102-ე მუხლის გამონაკლის შემთხვევებს. ეს მუხლებია: სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 995-ე, 996-ე და 997-ე მუხლები. ამ ნორმების მიხედვით, მოპასუხეს ევალეზა თავისი არაბრალეულობის დამტკიცება, მაშინ, როცა სხვა შემთხვევებში, სსსკ-ის 102-ე მუხლის ძირითადი პრინციპის თანახმად, მოსარჩელეს დაეკისრებოდა მტკიცების ტვირთი, რადგან ბრალეულობა მოთხოვნის არსებობის ერთ-ერთი კანონისმიერი წინაპირობაა.

მაგალითი: სსკ-ის 997-ე მუხლზე დაყრდნობით, მოსარჩელე ითხოვს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. იგი განმარტავს, რომ მოპასუხის ერთ-ერთი თანამშრომელი დოლიძის ქუჩაზე ღებავდა სახლს. ხარაჩოზე, რომელსაც იგი იყენებდა, იდგა თეთრი საღებავით სავსე ჭურჭელი. როდესაც მოსარჩელემ ხარაჩოსთან ჩაიარა, ჭურჭელი გადმოვარდა და მოპასუხეს კოსტიუმი დაუსვარა. ვინაიდან საღებავის გამორეცხვა შეუძლებელი იყო, მოსარჩელე იძულებული გახდა, ახალი კოსტიუმი შეეძინა. მოპასუხე ეთანხმება ამ გარემოებებს, მაგრამ იგი აცხადებს, რომ ზიანი არ იყო გამოწვეული მისი თანამშრომლის ბრალეულობით და რომ მას არ უნდა დაეკისროს მისი ანაზღაურება სსკ-ის 997-ე მუხლის მიხედვით. აღნიშნულის დასამტკიცებლად იგი განმარტავს, რომ მის თანამშრომელს ხარაჩოდან დაახლოებით 2 მეტრის დაშორებით განთავსებული ჰქონდა გამაფრთხილებელი ნიშნები, რომლებსაც მოსარჩელემ არ მიაქცია ყურადღება. მოსარჩელე გამაფრთხილებელი ნიშნების დანახვის შემდეგ რომ გადასულიყო ქუჩის მეორე მხარეს, მაშინ მისი კოსტიუმი არ დაისვრებოდა. მოსარჩელე აცხადებს, რომ არანაირი გამაფრთხილებელი ნიშნები იქ არ ყოფილა. ვინაიდან მოსამართლემ არ იცის, თუ რომელი ვერსია შეესაბამება სიმართლეს და ეს სადავო ფაქტი საქმისათვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია, მან აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით უნდა შეაგროვოს მტკიცებულებები. ამ შემთხვევაში, სსკ-ის 997-ე მუხლის მიხედვით, მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის თანამშრომელს მართლაც ჰქონდა განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნები.

რეკომენდაცია: მიზანშეწონილი იქნება, თუ მოსამართლე მტკიცების კონკრეტულ საგანს ფორმულირებას მისცემს მტკიცების ტვირთის შესაბამისად. ამ გზით მისთვის ყოველთვის თვალსაჩინო იქნება, თუ რომელ დასამტკიცებელ ფაქტთან დაკავშირებით უნდა ჩამოაყალიბოს მან თავისი შეხედულება, რის შედეგადაც მოსამართლე თავიდან აიცილებს ისეთი ზედმეტი უმნიშვნელო გარემოებების გამორკვევასა და დადგენას, რომლებიც სცდებიან იმას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში პროცესისათვის არის საჭირო. ასეთი ხერხით იმავდროულად მხარეებიც იქნებიან ინფორმირებული მტკიცების ტვირთის შესახებ.

მაგალითი: თუ ზემოთ აღნიშნულ მაგალითში დამკვეთი აცხადებს, რომ სამუშაოს შესრულება ჯერ არ დასრულებულა, მაშინ მოსამართლე მტკიცების ტვირთის საკითხის გათვალისწინებით, რაც ამ შემთხვევაში ხელოსანს ეკისრება, შემდეგნაირად ჩამოაყალიბებს დასამტკიცებელ საკითხს: „შეასრულა თუ არა ხელოსანმა სავალდებულო სამუშაო?“ (და არა ასე: „დაამთავრა თუ არა ხელოსანმა სავალდებულო სამუშაოს შესრულება?“). რამეთუ საკმარისია, რომ არ დადასტურდეს სადავო საკითხის სიმართლე, და არა დამტკიცდეს საპირისპირო (იხილეთ ასევე ქვემოთ, 4. ბ. გგ.).

გგ. მტკიცების ტვირთის შემსუბუქება (აშკარა, უდავო მტკიცებულება)

კანონი არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც, საერთო ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, აღიარებული გარემოებები მეტყველებს იმ მხარის ჩვენების სასარგებლოდ, რომელსაც ეკისრება მტკიცების ტვირთი (ე. წ. აშკარა, უდავო მტკიცებულება). გამონაკლის შემთხვევებში აშკარა, უდავო მტკიცებულების ინსტიტუტი უადვილებს სასამართლოს მტკიცებულებების შეგროვებას და აძლევს მას უფრო ეფექტიანად მუშაობის შესაძლებლობას. თუ საერთო ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე აშკარაა ერთ-ერთი მხარის ბრალეულობა, მაშინ ამით სასამართლო თავიდან აიცილებს მტკიცებულების ამოღების ხანგრძლივ პროცესს.

მაგალითად, მანქანის შეჯახებისას, ძირითადად, ბრალეულად მიიჩნევა ის მძღოლი, რომელსაც არ ჰქონდა უპირატესი სვლის უფლება; ან როდესაც წინ მიმავალ ავტომობილს ეჯახება მეორე, მაშინ, ძირითადად, ბრალეულად მიიჩნევა უკანა მანქანის მძღოლი. ასეთ შემთხვევებში მიზანშეწონილია, თუ მხარე მხოლოდ მთელი ავარიის განვითარების ფაქტს დაამტკიცებს სრული მოცულობით. ხოლო რაც შეეხება ბრალეულობას: იმ მძღოლის ბრალეულობა, რომელსაც არ ჰქონდა უპირატესი სვლის უფლება, ან იმისა, რომელიც მართავდა უკანა მანქანას, ივარაუდება სასამართლოს მიერ.

ასეთი ვარაუდი მტკიცების ტვირთის შებრუნებისაგან განსხვავებით (იხ. ზემოთ „ბბ“ პუნქტი) არ გამოიწვევს იმას, რომ მოპასუხე მხარემ უნდა დაამტკიცოს მისი

არაბრალეულობა; ასეთ შემთხვევებში საკმარისია, როდესაც მოპასუხე თავის მოხსენებაში მიუთითებს ისეთ გარემოებებზე და საჭიროების შემთხვევაში დაამტკიცებს კიდევ, რომლებიც წარმოაჩინენ მომხდარის სხვაგვარად (მოსარჩელის ჩვენების საწინააღმდეგოდ) განვითარების რეალურ შესაძლებლობას, ანუ მოპასუხემ მხოლოდ უნდა შეასუსტოს ვარაუდი მისი ბრალეულობის თაობაზე.

საკითხი, დაიშვება თუ არა საერთოდ მტკიცების ტვირთის შემსუბუქება და თუ დაიშვება მაშინ რა შემთხვევებში, დამოკიდებულია მართლმსაჯულებისა და მეცნიერების ფარგლებში გამართულ დისკუსიასა და განხილვაზე. ვინაიდან მტკიცებულების შემსუბუქების ინსტიტუტს კანონი არ იცნობს და, შესაბამისად, იგი კანონით არ არის მოწესრიგებული, მისი გამოყენება უნდა მოხდეს გამონაკლის შემთხვევებში და, ამასთან, განსაკუთრებით უნდა დასაბუთდეს სასამართლო გადაწყვეტილებაში.

ბ) მოსამართლის მითითება არასაკმარისი ან არანაირი მტკიცებულების წარდგენისას

თუ მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი სასამართლოს დასარწმუნებლად, მაშინ მოსამართლეს შეუძლია სსსკ-ის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მიუთითოს მხარეებს ამ გარემოებაზე და მოუწოდოს მათ, წარადგინონ დამატებითი მტკიცებულებები. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში მოსამართლეს შეუძლია ჰკითხოს მოპასუხეს, შეუძლია თუ არა მას მოწმის დასახელება, რომელიც დაადასტურებდა გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსების ფაქტს.

ვინაიდან აღნიშნული მითითების ვალდებულება კანონით არის გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ამ ინსტიტუტის გამოყენება არ იქნება მისი აცილების საფუძველი მიკერძოებულობის გამო.

გ) მტკიცების ტვირთის განაწილების მნიშვნელობა გადაწყვეტილებისათვის

თუ მხარე, რომელსაც აკისრია მტკიცების ტვირთი, ვერ შეძლებს მისთვის ხელსაყრელი გარემოებების დამტკიცებას, ეს აისახება მის საზიანოდ. ეს ის შემთხვევებია, როცა მხარე ან საერთოდ არ წარადგენს მტკიცებულებას, ან წარდგენილი მტკიცებულებით ვერ მოახერხებს მოსამართლის დარწმუნებას. თუ წინამდებარე შემთხვევაში მოპასუხე ვერ წარადგენს მოწმეს, რომელიც დაადასტურებს გამაფრთხილებელი ნიშნების დადგმის ფაქტს, მაშინ ეს მის საზიანოდ აისახება. იგი ვერ დაამტკიცებს თავის არაბრალეულობას და, შესაბამისად, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს. სარჩელი დაკმაყოფილდება ასევე იმ შემთხვევაშიც, როცა მოპასუხე

წარადგენს მოწმეს, მაგრამ იგი არ არის დარწმუნებული ამ მოწმის ჩვენების სიმართლეში.

3. მტკიცებულებათა სახეები და მათი შეგროვება

ა) მტკიცებულებათა სახეები

სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი ასახელებს მტკიცებულების შემდეგ სახეებს: მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტება, მოწმეთა ჩვენება, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულება და ექსპერტის დასკვნა. ძირითადად, მტკიცებულებათა შეგროვება შესაძლებელია ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი სახით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ითვალისწინებს გარკვეული გარემოების გარკვეული მტკიცებულებით დამტკიცებას (სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

მტკიცებულებათა ცალკეულ სახესთან დაკავშირებით:

აა. წერილობითი მტკიცებულება (სსსკ-ის 134-139-ე მუხლები)

სსსკ-ის 134-ე მუხლი მოიცავს წერილობით მტკიცებულებათა ჩამონათვალს, თუმცა ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. აქ მოხსენიებულია: აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. როგორც წესი, წერილობითი მტკიცებულება სასამართლოში წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს წარედგინება ასლი, მაშინ მოსამართლეს შეუძლია, მხარის მოთხოვნით ან თავისი ინიციატივით, მოითხოვოს საბუთის დედანი. პირი შეიძლება განთავისუფლდეს დედნის წარდგენისაგან იმ შემთხვევაში, თუ საბუთის დედნის წარდგენა შეუძლებელია ისეთი მიზეზით, რომელსაც სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს. სასამართლომ სსსკ-ის 184-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და სსსკ-ის 202-ე მუხლის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარეს უნდა გადაუგზავნოს ყველა საბუთის ასლი.

ააა. განსხვავება ხელმოწერილ და ხელმოუწერელ წერილობით მტკიცებულებებს შორის

მტკიცებულებათა შეფასებისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ხელმოწერილი და ხელმოუწერელი საბუთები, ვინაიდან ხელმოწერილ საბუთს უფრო დიდი მტკიცებულებითი ძალა აქვს.

მაგალითი: ა ავეჯის მაღაზიის მფლობელია. ბ-ს სურს ტახტის შეძენა და შეარჩევს ერთ-ერთ მოდელს, რომელსაც ა მას თეთრსა და ვარდისფერ ფერში სთავაზობს. ბ-ს, რომელიც გადაწყვეტს ამ მოდელის ტახტის ყიდვას, სურს, რომ მეუღლესთან შეთანხმოს მისი ფერი. შესაბამისად, ა და ბ წერილობით შეთანხმდებიან, რომ ა ბ-ს მიჰყიდის შერჩეული მოდელის ტახტს 1500 ლარად. აქვე დაფიქსირდება ფერის არჩევის საშუალებაც, რომელიც ბ-მ ერთი კვირის განმავლობაში უნდა გამოიყენოს. ორი დღის შემდეგ ა მიიღებს ფაქსს, სადაც ბ ითხოვს თეთრი ფერის ტახტის მიწოდებას. ფაქსი არ არის ხელმოწერილი. ვარდისფერ ტახტს ა სხვას მიჰყიდის. იმავე დღეს ბ ურეკავს ა-ს და ეუბნება, რომ მან ვარდისფერი ტახტი აირჩია. ვინაიდან ა-ს აღარ აქვს იგივე ტახტი ვარდისფერ ფერში, იგი უარს ეტყვის ბ-ს და მიუთითებს მიღებულ ფაქსზე. ბ აცხადებს, რომ ფაქსი მისგან არ არის. როგორ გადაწყვეტს მოსამართლე დავას, თუ ბ უჩივლებს ა-ს ვარდისფერი ტახტის მიწოდების თაობაზე?

წინასწარი ანალიზი: ბ-ს მიერ ა-სთვის ვარდისფერი ტახტის მიწოდების მოთხოვნის საფუძველი შესაძლოა იყოს სსკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. ამისათვის მხარეებს შორის უნდა დადებულიყო ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება არა თეთრი, არამედ ვარდისფერი ტახტის თაობაზე. მხარეებს შორის სადავოა მხოლოდ ის გარემოება, თუ რომელი ფერი შეარჩია ბ-მ. ა ამტკიცებს, რომ ბ-მ ფაქსით თეთრი ფერის ტახტი აარჩია. ბ სადავოდ ხდის ამ გარემოებას და მიუთითებს თავის სატელეფონო საუბარზე ა-სთან, რომელსაც ა, თავის მხრივ, არ ედავება. სატელეფონო საუბრისას ბ-მ ვარდისფერი ტახტი აირჩია. მაშასადამე, გასარკვევი და არსებითია მხოლოდ ის გარემოება, უნდა იქნეს თუ არა ფაქსი მიჩნეული იმის მტკიცებულებად, რომ ბ-მ სატელეფონო საუბრამდე თეთრი ფერის ტახტი შეუკვეთა ა-ს, რადგან ამ შემთხვევაში ბ-ს თავისი არჩევანის უფლება (შესაძლებლობა) უკვე სატელეფონო საუბრამდე ექნებოდა გამოყენებული, რის შედეგადაც ხელშეკრულების საგანი გახდებოდა თეთრი ფერის ტახტი და ბ-ს აღარ ექნებოდა ვარდისფერი ტახტის მოთხოვნის საფუძველი.

ფაქსის, როგორც მტკიცებულების, შეფასება: თავისი შინაარსით ფაქსი მოწმობს იმაზე, რომ ბ-მ ა-ს თეთრი ტახტი შეუკვეთა, თუმცა ფაქსი არ არის ბ-ს მიერ ხელმოწერილი. შესაბამისად, იგი არ გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ ფაქსი შედგენილია ბ-ს მიერ. მაშასადამე, ა-ს ევალება, წარადგინოს და დაამტკიცოს გარემოებები, რომელთა საფუძველზეც გაცხადდება, რომ ფაქსი მართლაც ბ-ს ეკუთვნის. მან უნდა დაამტკიცოს, რომ ბ-მ სატელეფონო საუბრამდე გამოიყენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფერის არჩევანის შესაძლებლობა. თუ ა ზემოთ აღნიშნულის დასამტკიცებლად მხოლოდ მიღებული ხელმოუწერილი ფაქსით შემოიფარგლება, მაშინ იგი ვერ დაამტკიცებს ბ-ს მიერ თეთრი ტახტის არჩევის ფაქტს. მისი მტკიცებულება წარმატებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ ა დაამტკიცებს, რომ

ფაქსის გამომგზავნის ნომერი ბ-ს ეკუთვნის. ეს იქნებოდა საკმაოდ დიდი მნიშვნელობის მქონე მინიშნება იმაზე, რომ ფაქსი ბ-ს ეკუთვნის.

ვარაუდი: რა შეიცვლებოდა იმით, თუ ფაქსი ბ-ს მიერ იქნებოდა ხელმოწერილი?

თუ ფაქსზე არის ბ-ს ხელმოწერა, მაშინ ა-ს იმის დასამტკიცებლად, რომ ბ-მ თავისი არჩევანი თეთრ ტახტზე შეაჩერა, მოუწევდა მხოლოდ ამ ფაქსზე მითითება, ვინაიდან ხელმოწერა გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ ფაქსით გაკეთებული განცხადება ბ-ს ეკუთვნის.

ბბბ. ხელმოწერილი წერილობითი მტკიცებულების ნამდვილობის ვარაუდი

ხელმომწერი თავისი ხელმოწერით აცხადებს, რომ საბუთი მის მიერ არის შედგენილი, იგი ეთანხმება მის შინაარსს და ასევე პასუხს აგებს მასზე. შესაბამისად, ხელმოწერა არის საბუთის შინაარსის სისწორისა და სრულყოფილების საფუძველი, ვინაიდან საერთო ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პირი დოკუმენტს იმ შემთხვევაში აწერს ხელს, როდესაც მასში თავმოყრილია ყველა ძირითადი საკითხი და როდესაც იგი ეთანხმება ამ უკანასკნელის შინაარსს. თუმცა ყოველივე აღნიშნულის წინაპირობაა ის, რომ პირმა ხელმოწერა დასვას საბუთის ტექსტის ბოლოს და არა რომელიმე სხვა ადგილას.

საბუთის სისწორისა და სრულყოფილების ვარაუდი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- (1) საბუთი გარეგნულად არ არის დაზიანებული და**
- (2) ხელმოწერა ნამდვილად ხელმომწერ პირს ეკუთვნის.**

(1):

თუ საბუთი გარეგნულად დაზიანებულია, რაც გამოიხატება გადაშლილი ადგილებით, ჩამატებებით ან სხვა შესწორებებით, მაშინ მისი მტკიცებულებითი ძალა საგრძნობლად შეზღუდულია. ისევ და ისევ ცხოვრებისეული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტექსტის დაზიანება და შემდგომი ჩასწორებები საეჭვოს ხდიან იმის ვარაუდს, რომ ეს ცვლილებები აუცილებლად ემთხვევა ხელისმომწერი პირის ნება-სურვილს. სხვა შემთხვევაა, როდესაც ხელმომწერი პირი შესაბამის ცვლილებას ცალკე ხელმოწერით ადასტურებს.

მაგალითი: მხარეები აფორმებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას ავტომანქანა ფორდის თაობაზე, სადაც შეთანხმებული ფასის ოდენობა განისაზღვრა 5.000 ლარით. ამის შემდეგ მხარეებმა კიდევ ივაჭრეს ფასზე, რის შედეგადაც საბოლოოდ 4.500 ლარზე შეთანხმდნენ. იმისათვის, რომ მხარეებს ხელმეორედ არ ეწერათ მთლიანი ხელშეკრულება, მათ შეიტანეს შესწორება, კერძოდ, გადახაზეს „5.000“ და თავზე დააწერეს ახალი ფასი. იმისათვის, რათა ვივარაუდოთ, რომ შეთანხმებული ფასი ნამდვილად არის 4.500 ლარი, აუცილებელია, მხარეებმა ზემოთ აღნიშნული ცვლილების დადასტურება მოახდინონ შესაბამისი ხელმოწერებით.

საბუთი შემდეგ შემთხვევებში შეიძლება ჩაითვალოს გარეგნულად დაზიანებულად:

- თვითონ ფურცელია დაზიანებული. მაგალითად, როცა საბუთის ნაწილი მოჭრილი, მოხეული ან დაწებებულია;
- წაშლილია ტექსტის გარკვეული პასაჟები და მათ ადგილას სხვა ტექსტია ჩასმული;
- ტექსტში გვხვდება სხვადასხვაგვარი მანიპულაციები, როგორცაა კორექტორის ან საშლელის გამოყენება.

(2):

თუ სავარაუდო ხელმოწერი სადავოდ ხდის მის მიერ საბუთის ხელმოწერის ფაქტს, მაშინ საბუთის ნამდვილობა უნდა დაამტკიცოს საპირისპირო მხარემ, ანუ მხარემ, რომელიც თავის სასარგებლოდ იყენებს საბუთის შინაარსს. აქ მოქმედებს შემდეგი პრინციპი, რომ იმ მხარემ, რომელიც მტკიცებულებად იყენებს რაიმე დოკუმენტს, უნდა დაამტკიცოს ხელმოწერის ნამდვილობა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გახდება სადავო. ამის დასამტკიცებლად მას შეუძლია წარადგინოს გრაფოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და ასევე სხვა მტკიცებულებები, როგორცაა, მაგალითად, მოწმე, რომელიც ესწრებოდა ხელის მოწერის პროცესს.

მაგალითი: მხარეებს შორის სადავოა, გადასცა თუ არა მანქანის გამყიდველმა ავტომანქანა მყიდველს. ეს უკანასკნელი ამტკიცებს, რომ ჯერ არ მიუღია მანქანა და სარჩელით ითხოვს მის გადაცემას. გამყიდველი კი აცხადებს, რომ მან ავტომანქანა მიიყვანა მყიდველთან და მის ვაჟს გადასცა. ავტომანქანის გადაცემის ფაქტი გამყიდველმა უნდა დაამტკიცოს, ვინაიდან საუბარია მისთვის სასარგებლო გარემოებაზე. მოთხოვნის შესრულება ყოველთვის უნდა დაამტკიცოს შემსრულებელმა. მოცემულ შემთხვევაში, გამყიდველი მანქანის გადაცემის დასამტკიცებლად წარადგენს მყიდველის ვაჟის მიერ ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტს ავტომანქანის გადაცემის

შესახებ. მყიდველი აცხადებს, რომ აქტი ყალბია. ის გარემოება, რომ აქტი ნამდვილად მყიდველის ვაჟის მიერ არის ხელმოწერილი, უნდა დაამტკიცოს გამყიდველმა.

გგგ. მტკიცების ტვირთის განაწილება საბუთის არასრულყოფილებაზე ან მანიპულაციაზე მითითებისას

თუ საბუთის ნამდვილობა დადასტურებულია ანუ თუ დადგინდა, რომ ხელმოწერა ეკუთვნის იმ პირს, რომელსაც საბუთის მიხედვით მასზე უნდა მოეწერა ხელი, მაშინ მოწინააღმდეგე მხარეს ამ საბუთის შინაარსის სისწორისა და სრულყოფილების ვარაუდი არ შეუძლია შეარყიოს მხოლოდ იმის მტკიცებით, რომ საბუთი **შინაარსობრივად** არასწორია, მაგალითად, განაცხადოს, რომ საბუთი სწორად ვერ გადმოსცემს დადებულ შეთანხმებას, ან იგი არ შეიცავს შეთანხმების სხვა პუნქტებს. მხარეს ევალება საბუთის არასწორი შინაარსისა თუ განსხვავებული შეთანხმების არსებობის დასამტკიცებლად შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა.

მაგალითი: ა და ბ-მ დადეს ხელშეკრულება კომპიუტერული პროგრამის მიწოდების თაობაზე. ორივე მხარის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია ფასი 500 ლარი, რომელიც 2005 წლის 30 ივნისს არის გადასახდელი. 2005 წლის 15 ივლისს გამყიდველი ბ აღძრავს სარჩელს ა-ს წინააღმდეგ 500 ლარის მოთხოვნით, რაზეც ა განაცხადებს, რომ ხელშეკრულების დადებისას მხარეები შეთანხმდნენ, რომ საფასურის გადახდა მოხდებოდა 2005 წლის 20 სექტემბერს. ხოლო 30 ივნისი გადახდის თარიღად ხელშეკრულებაში დაფიქსირდა ბ-ს თხოვნით ბუღალტრული აღრიცხვის გასამარტივებლად. როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე?

ბ-მ უნდა დაამტკიცოს, რომ სარჩელის აღძვრის მომენტისათვის დამდგარი იყო შესრულების დრო სსსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. აღნიშნულის დასამტკიცებლად მას შეუძლია დაეყრდნოს ხელშეკრულების ტექსტს. ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ხელშეკრულების შინაარსი ემთხვევა მხარეების ნება-სურვილს, რომლის მიხედვით, ა-მ უნდა დაამტკიცოს, რომ მხარეები ზეპირად გადახდის სხვა თარიღზე შეთანხმდნენ. მას ევალება ხელშეკრულების უზუსტობის თაობაზე შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა.

მაგალითი: ა-მ საკუთარი კოლექციიდან უნდა მიჰყიდოს ბ-ს რამდენიმე ძველი ფირფიტა, რომლებიც ბაზარზე უკვე აღარ იყიდება. ამისათვის იგი მთელი თავისი ფირფიტებით ბ-სთან გაემართება. ეს უკანასკნელი ა-ს კოლექციიდან 30 ფირფიტას ამოარჩევს. ვინაიდან ა-ს არ აქვს საკმარისი დრო შესაბამისი ფორმულარის შესავსებად, იგი თხოვს ბ-ს არჩეული ფირფიტების აღნუსხვას ბლანკზე. ა, რომელიც ბ-სადმი

ნდობით არის განმსჭვალული წინასწარ მოაწერს ხელს ფორმულარს. ეს უკანასკნელი კი ბლანკზე მხოლოდ 10 ფირფიტას შეიტანს, ხოლო მოგვიანებით კი უარს იტყვის სრული საფასურის გადახდაზე და აცხადებს, რომ ა-მ მას მხოლოდ ბლანკზე მითითებული 10 ფირფიტა მიჰყიდა და გადასცა. როგორ უნდა დაამტკიცოს ა-მ, რომ მან ბ-ს სინამდვილეში 30 ფირფიტა მიჰყიდა და გადასცა?

ფირფიტების ნუსხის ქვემოთ მოთავსებული ა-ს ხელმოწერა იმის დასტურია, რომ მან თავად შეადგინა საბუთის ტექსტი ან, ყოველ შემთხვევაში, სრულად ეთანხმება მის შინაარსს და ასევე პასუხს აგებს მასზე. ამ ვარაუდის შესარყევად ანუ საპირისპიროს დასამტკიცებლად ა-მ უნდა წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. ანუ ა-მ უნდა დაამტკიცოს, რომ ბ-მ მათ შორის დადებული გარიგების დარღვევით ბლანკში შეიტანა 10, ხოლო სინამდვილეში კი მიიღო 30 ფირფიტა.

ბბ. მოწმეები (სსსკ-ის 140-153-ე მუხლები)

მოწმე მოსამართლეს ჩვენებას აძლევს ზეპირად (სსსკ-ის 150-ე მუხლი), მაგრამ მას შეუძლია ისარგებლოს ასევე ჩანაწერებით, თუ მისი ჩვენება დაკავშირებულია რაიმე ციფრობრივ ან სხვა ძნელად დასამახსოვრებელ ცნობებთან.

სსსკ-ის 141-ე მუხლის მიხედვით, არ შეიძლება გარკვეული პირების მოწმეებად დაკითხვა, სხვა პირებს კი, სსსკ-ის 142-ე მუხლის მიხედვით, აქვთ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება.

მოწმეებად არ შეიძლება დაიკითხონ:

- პირი, რომელსაც თავისი ფიზიკური ნაკლის ან ფსიქიკური აშლილობის გამო არ შეუძლია, სწორად აღიქვას ფაქტები და მისცეს მათ შესახებ სწორი ჩვენება;
- სასულიერო პირი – იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მისთვის აღსარების დროს გახდა ცნობილი;
- წარმომადგენლები სამოქალაქო საქმეებსა და დამცველები სისხლის სამართლის საქმეებზე – ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის გახდა ცნობილი მათ მიერ წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებისას.

ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება აქვთ შემდეგ პირებს:

- მხარეთა მეუღლეებს;

- ახლო ნათესავებს – შვილებს, შვილიშვილებს, ძმებს, დებს, მშობლებს, მშვილებლებს, შვილობილებს, მზრუნველებს, მეურვეებს, ბებიებს, პაპებს;

- პირებს, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ვალდებული არიან, დაიცვან საიდუმლოება, თუ ისინი განთავისუფლებულნი არ არიან ამ მოვალეობისაგან.

ჩვენების მიცემაზე უარის უფლების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენების მიცემა გამოიწვევს მოწმის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას ან მიაყენებს მათ ქონებრივ ზიანს.

თუმცა მაშინაც, როდესაც სსსკ-ის 142-ე მუხლის მიხედვით დასაშვებია ჩვენებაზე უარის თქმა, პირი სსსკ-ის 143-ე მუხლის მიხედვით ვალდებულია, მისცეს ჩვენება, თუ:

- საჭიროა დადასტურდეს გარიგება, რომლის დადებისას იგი მიწვეული იყო მოწმედ;

- გასარკვევია ოჯახის წევრის დაბადების, დაქორწინების ან გარდაცვალების საკითხები;

- ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებისას იგი მოქმედებდა, როგორც ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი.

ზემოთ აღნიშნული გამონაკლისების გარდა, სსსკ-ის 145-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოწმეები ვალდებული არიან, ჩვენება მისცენ მოსამართლეს. ამასთან, ისინი, სსსკ-ის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალდებული არიან, მისცენ სწორი ჩვენება.

გგ. ექსპერტი (სსსკ-ის 162-176-ე მუხლები)

თუ საქმის ფაქტობრივი გარემოების განხილვა საჭიროებს ექსპერტის დასკვნას, მაშინ მოსამართლეს შეუძლია, მხარეთა მოთხოვნით ან თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა (სსსკ-ის 162-ე მუხლი). მხარეებს უფლება აქვთ, შესთავაზონ სასამართლოს ექსპერტად დასანიშნი პირის კანდიდატურები, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე (სსსკ-ის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მხარეებს უფლება აქვთ, წარუდგინონ სასამართლოს კითხვები, რომლებიც უნდა განმარტოს ექსპერტმა. საბოლოოდ კი იმ საკითხებს, რომლებზეც საჭიროა ექსპერტის დასკვნა, განსაზღვრავს სასამართლო. იგი ასევე ვალდებულია, დაასაბუთოს მხარეთა მიერ წამოყენებულ საკითხთა უარყოფა (სსსკ-ის 163-ე მუხლის მე-3 ნაწილი). სსსკ-ის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად გამოტანილი განჩინება უნდა შეიცავდეს ექსპერტის მიერ იმ

საკითხებისა და გარემოებების დასახელებას, რომლებიც საჭიროებენ ექსპერტის დასკვნას. იმისათვის, რათა დაიზოგოს დრო, ზედმეტი შეკითხვები და ხარჯები, მიზანშეწონილია ექსპერტის მიერ გამოსაკვლევი საკითხის რაც შეიძლება მკაფიოდ და ზუსტად განსაზღვრა და ჩამოყალიბება. სსსკ-ის 165-ე -170-ე მუხლები აწესრიგებენ ექსპერტის საქმიანობას. ამას გარდა, ექსპერტიზის თავში შემავალი ნორმები შეიცავს ექსპერტის დასკვნის, როგორც მტკიცებულების შეფასების ზოგად წესებს. სსსკ-ის 172-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ექსპერტის დასკვნა მოსამართლისათვის არ არის სავალდებულო. მისი მტკიცებულებითი ძალა, ისევე როგორც სხვა მტკიცებულებების შემთხვევაში, დამოკიდებულია მოსამართლის შეფასებაზე. მოსამართლემ დასკვნის საფუძველზე ყოველთვის უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულება. რაც შეეხება ექსპერტის დასკვნის შინაარსობრივად შემოწმებას, ეს, ალბათ, სცილდება სასამართლოს კომპეტენციასა და შესაძლებლობებს. სხვა შემთხვევაში, არ იქნებოდა საჭირო ამა თუ იმ საკითხის გასარკვევად ექსპერტიზის დანიშვნა. თუ მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, მოსამართლე არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას, მაშინ მან ეს ცალკე უნდა დაასაბუთოს (სსსკ-ის 172-ე მუხლი).

თუ ექსპერტის დასკვნა არასრულყოფილი ან გაუგებარია, სასამართლოს შეუძლია, სსსკ-ის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა. თუმცა ექსპერტის დასკვნა არ შეიძლება ჩაითვალოს არასრულყოფილად მხოლოდ იმიტომ, რომ ექსპერტის დასკვნით შეუძლებელია ამა თუ იმ საკითხის ამ გზით გადაწყვეტა. თუ სასამართლო (4. ბ. ბბ. გ) პუნქტში აღნიშნული პრინციპებზე დაყრდნობით) დარწმუნებულია ასეთი საკითხის სისწორეში, მაშინ ეს სადავო გარემოება არ ჩაითვლება დადასტურებულად.

დდ. ნივთიერი მტკიცებულება (სსსკ-ის 154-161-ე მუხლები)

ნივთიერი მტკიცებულებების წარდგენას განსაზღვრავს სსსკ-ის 154-ე -161-ე მუხლები. აქ მნიშვნელოვანია, რომ ადგილზე დათვალიერების შედეგები მოსამართლის მიერ აღინიშნოს ოქმში (სსსკ-ის 159-ე და 125-ე მუხლები). მხოლოდ ამ გზით აქვთ მხარეებს შესაძლებლობა, ჩასწვდნენ შემდგომში გამოტანილ გადაწყვეტილებასა და მის დასაბუთებას.

თუ შეუძლებელია ნივთიერ მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენა, სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით, მოახდინოს მათი ადგილზე დათვალიერება (სსსკ-ის 159-ე, 120-ე -126-ე მუხლები). მაგალითად, სამშენებლო ხარვეზის გამო წამოჭრილი დავებისას მიზანშეწონილია მოსამართლის მიერ მშენებლობის ადგილზე დათვალიერება. თუ საქმე განიხილება კოლეგიალურად, მაშინ შესაძლებელია, ადგილზე დათვალიერება დაევალოს განმხილველი კოლეგიის

ერთ-ერთ მოსამართლეს. თუ ადგილზე დათვალიერებისას სამშენებლო ხარვეზის აღქმას სპეციალური ტექნიკური ცოდნა ესაჭიროება, მაშინ მოსამართლეს, სსსკ-ის 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შეუძლია, ადგილზე მიიწვიოს შესაბამისი სპეციალისტი.

ე. პროცესში მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებები (სსსკ-ის 127-133-ე მუხლები)

სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მხარეთა ახსნა-განმარტებები წარმოადგენს მტკიცებულებას. თუმცა საჭიროა, ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ახსნა-განმარტების შემდეგი ნაწილები: პირველი ნაწილი, რომელსაც არ გააჩნია მტკიცებულებითი ძალა, ვინაიდან იგი მოიცავს მოთხოვნის ჩამოყალიბებასა და დაკონკრეტებას და მეორე ნაწილი, რომელიც, განსხვავებით პირველისაგან, დაკავშირებულია იმ ფაქტებთან და გარემოებებთან, რომლებიც მნიშვნელოვანია საქმის გადაწყვეტისათვის. ახსნა-განმარტების სწორედ ეს ნაწილი ითვლება მტკიცებულებად.

ბ. მტკიცებულებათა შეგროვება

ძირითადად, ყველანაირი მტკიცებულება მხარეებმა უნდა წარადგინონ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მოსამზადებელ ეტაპზე (სსსკ-ის 206-ე და 215-ე მუხლები). თუმცა სსსკ-ის 380-ე მუხლი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებში სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულებების წარდგენას.

თუ მხარეებს არ შეუძლიათ, მესამე პირისაგან თვითონ მიიღონ საჭირო მტკიცებულებები, მაშინ მათ შესაძლებლობა აქვთ, სასამართლოს მიმართონ დასახმარებლად (სსსკ-ის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

გ. მტკიცებულებების შეგროვების თაობაზე შუამდგომლობის არდაკმაყოფილება

თუ გადაწყვეტილების მისაღებად ეს აუცილებელია, მოსამართლემ უნდა განიხილოს ყველა მტკიცებულება. მას შეუძლია, უარი თქვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მტკიცებულება არ არის დასაშვები, არ არის არსებითი ან თუ იგი ზედმეტია.

აა. თუ როდის არ არის მტკიცებულება დასაშვები, ამას განსაზღვრავს კანონი. სსსკ-ის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება. ასე მაგალითად, დაუშვებელია მოპარული წერილის ან მუქარით მიღებული მოწმის ჩვენების მტკიცებულებად გამოყენება. ამას გარდა, მტკიცებულება მაშინაც არ არის დასაშვები, თუ ის არ ასახელებს კონკრეტულ საკითხს და მიმართულია ახალი ინფორმაციების გარკვევისაკენ.

მაგალითი: ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკების შინაარსთან დაკავშირებით მოსარჩელე ითხოვს მოწმის დაკითხვას, მაგრამ კონკრეტულად არ ასახელებს, თუ რა უნდა დაამოწმოს ამ უკანასკნელმა. მას, უბრალოდ, იმედი აქვს, რომ მოწმის ჩვენებიდან გამოვლინდება მისთვის სასიკეთო და ხელსაყრელი გარემოებები.

ბბ. მტკიცებულება არ არის არსებითი, როდესაც იგი ეხება არაარსებით ანუ საქმისათვის ლოგიკურად უმნიშვნელო გარემოებას.

გგ. მტკიცებულება ზედმეტია, თუ მოსამართლე უკვე დარწმუნებულია დასამტკიცებელი გარემოების სიმართლეში (მაგალითად, სხვა მტკიცებულებების საფუძველზე). თუმცა ამ შემთხვევაშიც მოსამართლე ვალდებულია, საფუძვლიანად განიხილოს საპირისპირო მხარის განცხადება მტკიცებულებასთან დაკავშირებით.

მოსამართლემ **არც ერთ შემთხვევაში** არ უნდა თქვას უარი მტკიცებულებაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ მას იგი გამოუსადეგრად მიაჩნია. მაგალითად, მოწმის ახლო ნათესაური კავშირი რომელიმე მხარესთან, ან იმის ალბათობა, რომ მტკიცებულება არანაირ სიცხადეს არ შეიტანს. სასამართლოს მტკიცებულების შეფასების უფლება აქვს, ძირითადად, მათი ამოღებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა მხარეთა უფლება სასამართლო მოსმენაზე.

4. მტკიცებულებათა შეფასება

ა. მტკიცებულებათა შეფასება სასამართლოს შინაგანი რწმენის საფუძველზე

სსსკ-ის 105-ე მუხლის მიხედვით, მოქმედებს მტკიცებულებათა სასამართლოს შინაგანი რწმენის საფუძველზე შეფასების პრინციპი. მოსამართლემ მტკიცებულებები უნდა შეაფასოს სრულად, მიუკერძოებლად და ობიექტურად. სსსკ-ის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს, რომ სასამართლოსათვის არც ერთი მტკიცებულება არ არის წინასწარ სავალდებულო. აღნიშნული ნორმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექსპერტის დასკვნასთან მიმართებით. სსსკ-ის 172-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლე არ არის დამოკიდებული ექსპერტის აზრზე. მან კრიტიკული განხილვის შედეგად უნდა ჩამოაყალიბოს თავისი აზრი ექსპერტის დასკვნის საფუძველზე.

ძირითადად კი, მტკიცებულებებთან დაკავშირებით, მოქმედებს შემდეგი: **ობიექტურად მოცემული უნდა იყოს მხარეთა სადავო განცხადების სინამდვილის ალბათობა და, ამასთან, მოსამართლე სუბიექტურად უნდა იყოს დარწმუნებული ასეთი გარემოების სინამდვილეში, ანუ მას არ უნდა გააჩნდეს ეჭვი სადავო გარემოების სინამდვილესთან დაკავშირებით.** ალბათობა შინაგანი რწმენის გარეშე არ არის საკმარისი, ხოლო შინაგანი რწმენა ალბათობის გარეშე თავნებობაა.

ბ. როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე კონკრეტულ შემთხვევაში

როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე კონკრეტულ შემთხვევაში, რათა შეასრულოს სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნა?

აა. მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეს ყოველთვის **ახსოვდეს, თუ რომელი კონკრეტული ფაქტის დადასტურებაზეა საუბარი.** ამისათვის მეტად სასარგებლო იქნება, თუ იგი მტკიცების ტვირთის შესაბამისად ზუსტად ჩამოაყალიბებს მტკიცების საგანს (იხ. ზემოთ 2.ა.).

ბბ. ამის შემდეგ მან უნდა შეამოწმოს ყოველი მტკიცებულების ორი მხარე:

(1) რას ამბობს იგი (შინაარსი, განმარტება)?

(2) არის თუ არა იგი დამაჯერებელი (მტკიცებულებითი ძალა)?

(1):

მოსამართლე, უპირველესად, უნდა **ჩასწვდეს მტკიცებულების შინაარსს** და გააანალიზოს, თუ რა **დასკვნა** შეიძლება გაკეთდეს მის საფუძველზე **იმ გარემოებასთან მიმართებით, რომლის დასამტკიცებლადაც ის იქნა წარდგენილი.** წერილობითი მტკიცებულებები და ასევე მოწმეთა ჩვენებებიც საჭიროებენ განმარტებას. მოსამართლემ უნდა განსაჯოს, ამტკიცებს თუ არა ესა თუ ის მტკიცებულება კონკრეტულად იმ გარემოებას, რომლის თაობაზედაც იგი იქნა წარდგენილი, თუ სხვა რაიმე გარემოებას ადასტურებს, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლებელს ხდის ზემოთ აღნიშნულ დასამტკიცებელ გარემოებასთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნების გაკეთებას. ამ შემთხვევაში საუბარია მინიშნებებზე (ორივე მტკიცებულებებზე).

მაგალითი: ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ, უშუალოდ ადასტურებს ხელშეკრულების დადების ფაქტს. მოწმის ჩვენება ავარიის თაობაზე ადასტურებს ასევე იმ ფაქტს, რომ ის მოხდა. ხოლო მანქანის შეკეთების ქვითარი, აღნიშნულისაგან განსხვავებით, წარმოადგენს მინიშნებას იმაზე, რომ მოხდა ავარია, ისევე, როგორც გარკვეული თანხის გადახდა არის იმის მინიშნება, რომ არსებობდა შესაბამისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება.

(2):

შემდეგ მოსამართლემ უნდა განსაჯოს, **არის თუ არა შესაბამისი მტკიცებულება დამაჯერებელი,** რაშიც მას დაეხმარება ცხოვრებისეული გამოცდილება და საკუთარი ცოდნა.

ა) მოწმის ჩვენების შეფასებისას მოსამართლემ უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები:

- მოწმის ჩვენება შეეხება ფაქტებს თუ მხოლოდ დასკვნებს?

- მის მიერ აღქმულია ის, რაზედაც მოწმე მოგვითხრობს, თუ სხვისგან არის გაგონილი?

- შეეძლო თუ არა მოწმეს, მისი მონაცემებიდან გამომდინარე (ადგილი, დრო, მხედველობა, დაშორება, ამინდი), თავად მოეხდინა მის მიერ გადმოცემული დაკვირვებები? (დაშორების, სიჩქარისა და რაოდენობის ვარაუდი სარწმუნო არ არის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოწმე ასეთ გაანგარიშებებში მეტად გაწაფულია!).

- რამდენად საფუძვლიანად შეეძლო მოწმეს ყოველივე მომხდარის ათვისება, ანუ აკვირდებოდა იგი მომხდარს ყურადღებითა და ინტერესით, თუ ყოველგვარი შინაგანი მონაწილეობის, ინტერესის გარეშე, რაიმე სხვა საქმიანობის პარალელურად? ხომ არ იყო მისი ყურადღება სხვა რაიმეზე მიმართული, გადატანილი?

- იყო თუ არა შეზღუდული მისი ობიექტურობა პირადი სიმპათიისა თუ ანტიპათიის, აღელვების, სიბრაზის, შიშის, ზიზღის ან შინაგანი განწყობის გამო?

- არის თუ არა მოწმის ჩვენება ლოგიკური და, საერთო ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლებელი? აქ მნიშვნელოვანია, რამდენად თანმიმდევრულად ასახავს მოწმე მომხდარს და შეიცავს თუ არა მისი ჩვენება ურთიერთგამომრიცხავ ელემენტებს. თუ ჩვენებაში მოყვანილია ბევრი დეტალი, ეს მის სისწორეზე მეტყველებს. შეთანხმებული ჩვენებები პრაქტიკაში ძირითადად ამოიცნობა იმით, რომ ისინი, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციების თავიდან აცილების მიზნით, წარმოადგენენ მხოლოდ ძირითად მოვლენებს;

- არის თუ არა მოწმე მზად იმისათვის, რომ თქვას სიმართლე? მეუღლეების, ნათესავების, მეგობრების, მეზობლების, დაქირავებულების, თანამშრომლებისა და პროცესით ფინანსურად დაინტერესებული პირების შემთხვევაში ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ ისინი, თუ ტყუილს არ იტყვიან, შეარბილებენ ან გაამძაფრებენ, შეალამაზებენ ან გადააჭარბებენ მაინც ამა თუ იმ მოვლენას;

- არის თუ არა მოწმე მისი გამოსვლის, მიმიკისა და ჟესტიკულაციის მიხედვით, ასევე შეკითხვებზე რეაგირების მიხედვით დამაჯერებელი? თუმცა ასეთ პიროვნულ შთაბეჭდილებას არ შეიძლება დიდი მნიშვნელობა მიენიჭოს, რაც პრაქტიკაში ხშირად ხდება, ვინაიდან შესაძლებელია, მოწმეს მრავალი და სხვადასხვაგვარი მიზეზი ჰქონდეს იმისათვის, რომ მოიქცეს წყნარად, ზრდილობიანად, ან იყოს გაღიზიანებული

და ნერვული, რაც აისახება მის მიერ ჩვენების მიცემაზე: მან შესაძლებელია, უპრობლემოდ და თანმიმდევრულად გააკეთოს თავისი ჩვენება, ან ხშირად გაწყვიტოს სიტყვა და გაუჭირდეს თხრობა.

ბ) წერილობითი მტკიცებულების შემთხვევაში მოსამართლემ უნდა გაიაზროს შემდეგი საკითხები:

- ხელმოწერილია თუ არა საბუთი? ნამდვილია თუ არა იგი, ანუ ეკუთვნის თუ არა ხელმოწერა ხელის მომწერ პირს?

- თუ ეს ასეა, შესაძლებელია თუ არა, ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, იმის ვარაუდი, რომ საბუთი შინაარსობრივად სწორია და ემთხვევა ხელმომწერი პირის ნებას? ეს ასე არ არის, როცა, მაგალითად, საბუთში გვხვდება მანიპულაციები გადაშლილი ან გადასწორებული ადგილების სახით;

- თუ მოსამართლე დარწმუნებულია, რომ საბუთი შედგენილია ხელმომწერი პირის მიერ ან მისი ნება-სურვილის შესაბამისად და მისი შინაარსი სწორი და სრულყოფილია, მაშინ მან უნდა განიხილოს საბუთის შინაარსი, რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოახდინოს მისი განმარტება;

- თუ საბუთზე არ არის ხელმოწერა, მაშინ უნდა შემოწმდეს, თუ რისი დამტკიცება შეუძლია მას. უნდა განიხილოს, არსებობს თუ არა სხვა მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება დასკვნა, რომ საბუთი რომელიმე კონკრეტული პირის მიერ არის შედგენილი.

გ) ექსპერტის დასკვნის მტკიცებულებითი ძალა, ძირითადად, დამოკიდებულია შემდეგ საკითხებზე:

- სწორად გაიგო თუ არა ექსპერტმა დასმული ამოცანა და რამდენად სწორად არის ეს გადმოცემული მის დასკვნაში?

- რამდენად სწორ საფუძვლებსა და წინაპირობებს ეყრდნობა ექსპერტი?

- მოყვანილია თუ არა დასკვნაში ის გზები და მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ექსპერტი მივიდა შესაბამის შედეგებამდე?

- არის თუ არა გასაგები (მისაღები) დასკვნის შედეგი?

მას შემდეგ, რაც მოსამართლე ცალ-ცალკე შეამოწმებს თითოეული მტკიცებულების სარწმუნოებას, მან ასევე უნდა შეაფასოს ისინი **ერთობლივად**, სხვა მტკიცებულებებთან ერთად. აქ მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, ხომ არ ავსებს ერთი მტკიცებულება მეორეს,

ან, პირიქით, ხომ არ არის მათ შორის წინააღმდეგობა. ასევე შესამოწმებელია, მოწმის ჩვენება განცალკევებულია თუ სხვა ახსნა-განმარტებებს, დოკუმენტებსა და უდავო გარემოებებს ეხმაურება.

გგ. მტკიცებულებათა შეფასების დასრულებისას მოსამართლისათვის მტკიცების საგანი ან დადასტურებულია ან არა. თუ მოსამართლე მას არ მიიჩნევს დადასტურებულად, ეს აისახება იმ მხარის საზიანოდ, რომელსაც ეკისრებოდა მტკიცების ტვირთი აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად. აქ კიდევ ერთხელ წარმოჩნდა მტკიცების ტვირთის მნიშვნელობა.

თუ ზემოთ, 2.ა. პუნქტში, მოყვანილ მაგალითში (ზიანის ანაზღაურება) მოსამართლე მოწმის დაკითხვისა და შესაბამისი შეფასების შემდეგ არ არის დარწმუნებული იმაში, რომ მოპასუხის თანამშრომელმა დადგა გამაფრთხილებელი ნიშნები, მაშინ ეს აისახება მოპასუხის საზიანოდ. შესაბამისად, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს ზიანის ანაზღაურებაზე.

მოსამართლე მტკიცების ტვირთის მიხედვით მაშინაც იღებს გადაწყვეტილებას, როცა იმ მხარის განმარტება, რომელსაც აქვს მტკიცების ტვირთი, გაქარწყლებულია და დადასტურებულია საპირისპირო. ამიტომ პროცესუალურად ამ შემთხვევაში არსებობს მხოლოდ **ორი შესაძლებლობა**: გარემოება **დადასტურებულია ან არ არის დადასტურებული**. დადასტურებულია თუ არა მისი საპირისპირო გარემოება, ეს არ არის მნიშვნელოვანი. გადაწყვეტილება არ არის ამაზე დამოკიდებული. ყველა მცდელობა, რომელიც მიმართულია სადავო განცხადების საპირისპირო გარემოების დამტკიცებისაკენ, არა მარტო ზედმეტია, არამედ ამაზე შეიძლება, დამარცხებული მხარე შეიყვანოს შეცდომაში და აფიქრებინოს, რომ სააპელაციო ინსტანციაში მოსამართლის გადაწყვეტილების შესარყევად საკმარისია აღნიშნული საპირისპირო გარემოების დამტკიცება, რაც არასწორია, ვინაიდან მხარემ პროცესი წააგო მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მან ვერ შეძლო საკუთარი განცხადების დამტკიცება.

როდესაც მოსამართლე სადავო გარემოებას არ მიიჩნევს დამტკიცებულად, ამისათვის შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა მიზეზი. შესაძლებელია, რომ თვითონ წარდგენილმა მტკიცებულებამ ვერ შეძლო მოსამართლის დარწმუნება.

მაგალითი: თუ ზემოთ, 2.ა. პუნქტში, მოყვანილ მაგალითში (ზიანის ანაზღაურება) მოპასუხის მიერ დასახელებული მოწმე განაცხადებს, რომ მან დოლიძის ქუჩაზე მოპასუხეს ხარაჩოების წინ დაინახა გამაფრთხილებელი ნიშნები, მაგრამ არ არის დარწმუნებული, როდის – 2004 წლის 5 თუ 6 ივნისს, როცა დადგენილია, რომ „საღებავიანი ჭურჭლის“ შემთხვევა 5 ივნისს მოხდა, მაშინ ეს ჩვენება ვერ დაარწმუნებს

მოსამართლეს იმაში, რომ აღნიშნულ დღეს სამშენებლო ობიექტზე მოპასუხეს უკვე ჰქონდა მიღებული შესაბამისი უსაფრთხოების ზომები.

სხვა შემთხვევაში კი შესაძლებელია, რომ სხვადასხვა მტკიცებულება დაუპირისპირდეს ერთმანეთს და, ამასთან, არც ერთი არ იყოს მეორეზე მეტად დამაჯერებელი. ასეთ სიტუაციაშიც მტკიცების საგანი არ ჩაითვლება დადასტურებულად.

მაგალითი: ზემოთ აღნიშნულ მაგალითში (ზიანის ანაზღაურების შემთხვევა) დაიკითხა ორი მოწმე, რომელთაგან ერთი განაცხადებს, რომ მოპასუხის თანამშრომელმა ჯერ კიდევ 2004 წლის 5 ივნისს დადგა გამაფრთხილებელი ნიშნები, ხოლო მეორე მოწმის ჩვენების მიხედვით, გამაფრთხილებელი ნიშნები 2004 წლის 6 ივნისს დაიდგა მოპასუხის ხარაჩოების წინ. თუ ორივე მოწმის ჩვენება ლოგიკური და დამაჯერებელია და თუ არც ერთ მათგანს არ გააჩნია არანაირი პირადი ინტერესი პროცესთან დაკავშირებით, მაშინ მოსამართლე მტკიცებულებათა შეგროვების შემდეგაც ვერ გაიგებს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. იგი არ არის დარწმუნებული დასამტკიცებელი გარემოების (იყო თუ არა განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნები 2004 წლის 5 ივნისს ხარაჩოების წინ) სინამდვილეში. ეს გარემოება კი აისახება იმ მხარის საზიანოდ, რომელსაც დაეკისრა მტკიცების ტვირთი, ანუ ამ შემთხვევაში – მოპასუხის საზიანოდ.

დდ. გადაწყვეტილებაში მოსამართლემ მტკიცებულებათა შეფასება გასაგებად და სრულად უნდა ასახოს. ეს გამომდინარეობს სსსკ-ის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან და განსაკუთრებით 105-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან. მხარეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ გაიგონ, თუ როგორ მივიდა მოსამართლე ამა თუ იმ გადაწყვეტილებამდე. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ მათ, გადაწყვიტონ, თუ რამდენად წარმატებული იქნება გადაწყვეტილების გასაჩივრება. მაშასადამე, გადაწყვეტილება სრულად და ურთიერთგამომრიცხავი გარემოებების გარეშე უნდა აფასებდეს მტკიცებულებას. ამისათვის საჭიროა, რომ მასში კრიტიკულად იყოს განხილული ერთმანეთის საწინააღმდეგო მოწმეთა ჩვენებები და ექსპერტთა დასკვნები. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა აღნიშნოს, თუ რატომ დაუჯერა მან ერთი მოწმის ჩვენებას, მეორეს კი – არა, ან რატომ გაითვალისწინა მან ერთი ექსპერტის დასკვნა და არა მეორისა. გადაწყვეტილებაში მოსამართლემ ასევე უნდა განიხილოს მხარეთა წარდგინებები ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით.

თუ მოსამართლე თავის გადაწყვეტილებაში ნათლად ვერ ასახავს მის მიერ მტკიცებულებათა შეფასებას, მაშინ იგი ჩაითვლება თვითნებურ გადაწყვეტილებად და ეჭვქვეშ დააყენებს მოსამართლის მიუკერძოებლობას.

II. სავარჯიშო კაზუსები

კაზუსი №1

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას
(მისამართი)

მოსარჩელე:

შპს „არკა“

წარმომადგენელი — დირექტორი ბ-ნი გიორგი ნამიჭეიშვილი,
კანდელაკის ქ. № 3/7, 0185, თბილისი

მოპასუხე:

შპს ფირმა „კომპუტეკი“

წარმომადგენელი — დირექტორი, ქ-ნი ნინო ვაშაყმაძე,
მარჯანიშვილის ქ. № 21/34, 0125, თბილისი

სარჩელი

(ნაკლის საფუძველზე გამოწვეული ხარჯის ანაზღაურება)

მოსარჩელე არის სამშენებლო ფირმა. მოსარჩელე ვაჭრობს საოფისე ელექტრო-და კომპიუტერული საქონლით.

2004 წლის დასაწყისისათვის მოსარჩელემ გადაწყვიტა თავისი შიდა საბუღალტრო გაანგარიშების სისტემის განახლება. 2004 წლის 16 თებერვალს მან მოპასუხეს შეუკვეთა 4 კომპიუტერი შესაბამისი ოპერაციული სისტემით და ერთი სპეციალური პროგრამა საბუღალტრო აღრიცხვისათვის. შეკვეთის მთლიანი ღირებულება შეადგენდა 10.000 ლარს.

მხარეთა წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, მოპასუხეს ევალეზობდა მოსარჩელისათვის პროგრამის ინსტალაცია და მისი თანამშრომლების მომზადება სპეციალური საბუღალტრო პროგრამის ასათვისებლად. 2004 წლის 18 თებერვლის წერილით მოპასუხემ დაადასტურა დავალების ზემოთ ჩამოთვლილი პირობებით მიღება და მიწოდების თარიღად დაასახელა 2004 წლის 10 მარტი. მან, ამას გარდა, მოსარჩელეს შესთავაზა მისი თანამშრომლების ამ თარიღამდე მომზადება მოპასუხის შენობაში.

იხ. დანართი 11 - 2004 წლის 18 თებერვლის წერილის ასლი

თებერვლის ბოლო კვირას მოსარჩელის ორივე მდივანმა, ქ-ებმა: მაია კაპანაძემ და ირმა გაბაშვილმა მოპასუხესთან გაიარეს შესაბამისი მომზადება საბუღალტრო პროგრამის შესასწავლად.

2004 წლის 10 მარტს მოხდა 4 კომპიუტერის მიწოდება წინასწარ დაინსტალირებული პროგრამით.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ სპეციალური საბუღალტრო პროგრამა წესიერად არ მუშაობდა. ქ-ნი მაია კაპანაძე იმავე დღეს (2004 წლის 10 მარტს) ტელეფონით დაუკავშირდა მოპასუხეს და აცნობა აღნიშნულის შესახებ, რაზედაც მოპასუხემ მიუგო, რომ ეს ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე მისმა თანამშრომლებმა ყველა პროგრამა შეამოწმეს და ხარვეზი არ დაუფიქსირებიათ. მან უთხრა ქ-ნ მაია კაპანაძეს, რომ კიდევ ერთხელ ეცადა დახმარების გარეშე პროგრამის ჩართვა. მოპასუხემ განაცხადა, რომ ამჯერად ყველა მისი თანამშრომელი დაკავებულია და, შესაბამისად, არავის გამოგზავნა არ შეუძლია. ამის შემდეგაც საბუღალტრო პროგრამის ჩართვის ყველანაირი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

მტკიცებულება: ორგანიზაციის მდივნის, ქ-ნი მაია კაპანაძის, ჩვენება, მოწმე მოსარჩელის მხრიდან.

2004 წლის 15 მარტის წერილით მოსარჩელემ მოუწოდა მოპასუხეს, ხელმეორედ დაეყენებინა საბუღალტრო პროგრამა ან რაიმე სხვა გზით გამოესწორებინა არსებული ნაკლი.

იხ. დანართი №2 - 2004 წლის 15 მარტის წერილის ასლი

რადგანაც აღნიშნულ წერილზე მოპასუხემ არანაირი რეაგირება არ მოახდინა, მოსარჩელემ 22.03.2004-ში ხელახალი წერილით მიმართა მას და მოსთხოვა პროგრამის დაყენება. მან მოპასუხეს დაუნიშნა ვადა 2004 წლის 5 აპრილამდე და განუცხადა, რომ აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში იგი სხვა ორგანიზაციას დაავალდება პროგრამის დაყენებას.

იხ. დანართი №3 – 2004 წლის 22 მარტის წერილი

მოპასუხემ კვლავ ურეაქციოდ დატოვა აღნიშნული წერილი. ამის შემდეგ, მოსარჩელემ, 2004 წლის 6 აპრილს, დაავალა შპს „ბერათელს“ საბუღალტრო პროგრამის ინსტალაცია. ამისათვის მოსარჩელეს ამ ორგანიზაციისაგან ხელახლა უნდა ეყიდა ეს პროგრამა, ვინაიდან მოპასუხის მიერ მოწოდებულ კომპიუტერებში თუმცა

დაინსტალირებული იყო აღნიშნული პროგრამა, მაგრამ მათ არ მოჰყოლიათ შესაბამისი საინსტალაციო დისკი, რის გარეშეც ვერ მოხდება სრულყოფილი ინსტალაცია. წარმატებული ინსტალაციის შემდეგ შპს „ბერათელის“ თანამშრომელმა მოპასუხეს განუმარტა, რომ პროგრამის ჩართვა შეუძლებელი იყო, რადგან არ იყო ჩაყენებული ერთ-ერთი სისტემური ფაილი.

მტკიცებულება: ბ-ნი მამუკა ნიჟარაძის მოწმობა.

შპს „ბერათელმა“ მოსარჩელეს მოსთხოვა 200 ლარი.

იხ. 2004 წლის 8 აპრილის ქვითრის ასლი

08.04.2004-ის წერილით მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისაგან ქვითარში აღნიშნული თანხის დაფარვა, რაც მოპასუხემ არ შეასრულა. შესაბამისად აუცილებელი გახდა მოსარჩელის მიერ წინამდებარე სარჩელის აღძვრა.

სსკ-ის 494-ე და 394-ე მუხლების მიხედვით მოსარჩელეს მოპასუხისაგან შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც მას წარმოექმნა საბუღალტრო პროგრამის ხელახალი ინსტალაციის შედეგად. მოსარჩელემ მოპასუხესთან დადო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც 4 კომპიუტერთან და ოპერაციულ სისტემასთან ერთად ითვალისწინებდა სპეციალური საბუღალტრო პროგრამის ყიდვასაც. ეს უკანასკნელი კი არ იყო წესრიგში. შესაბამისად, საუბარია ნაკლოვან ნივთზე. მოსარჩელემ მოპასუხეს მისცა ვადა ნაკლის გამოსასწორებლად, მაგრამ მოპასუხემ არ მოახდინა მოსარჩელის მოწოდებაზე რეაგირება. სსკ-ის 494-ე და 394-ე მუხლების მიხედვით, მოსარჩელეს მოპასუხისაგან შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც მას წარმოექმნა საბუღალტრო პროგრამის ხელახალი ინსტალაციის შედეგად.

[აქ უნდა ჩაისვას სტანდარტული ტექსტი განაცხადის შესავალისათვის]

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვითხოვ, მოპასუხეს დაეკისროს 200 ლარის გადახდა.

გიორგი ნამიჭეიშვილი
(დირექტორი)

ადვოკატი დავით გოგშელიძე
საბურთალოს ქ. № 32
0194, თბილისი
ტელ.:369502

შესაგებელი

მოგახსენებთ, რომ შპს „არკასა“ და შპს „კომპუტექს“ შორის არსებულ სამართლებრივ დავაში წარმოვადგენ მოპასუხე მხარეს და მისი სახელითა და რწმუნებულებით მოვითხოვ, არ დაკმაყოფილდეს სარჩელი.

მოტივაცია:

ვეთანხმები იმ გარემოებას, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება 4 კომპიუტერის მიწოდებისა და მათზე ოპერაციული სისტემისა და საბუღალტრო პროგრამის ინსტალაციის თაობაზე. შეთანხმებისამებრ, აღნიშნული საგნების მიწოდება განხორციელდა 2004 წლის 10 მარტს.

არ ვეთანხმებით იმ ფაქტს, რომ თითქოს საბუღალტრო პროგრამა არ იყო ჯეროვნად დაყენებული და ამის გამო იგი არ ფუნქციონირებდა. მოპასუხის თანამშრომელმა, ბ-მა ლევან გიორგაძემ, საქონლის მიწოდებამდე ოპერაციული სისტემა და საბუღალტრო პროგრამა კიდევ ერთხელ შეამოწმა და დარწმუნდა, რომ ორივე უნაკლოდ მუშაობდა.

მტკიცებულება: ბ-ნი ლევან გიორგაძის ჩვენება, მოწმე მოპასუხის მხრიდან.

იმ გარემოებას, რომ მოსარჩელემ ვერ ჩართო საბუღალტრო პროგრამა, მოპასუხე იმით ხსნის, რომ მოსარჩელის თანამშრომლებმა იგი სწორად არ ჩართეს. აღნიშნულის შესახებ უთხრეს მოსარჩელეს, როდესაც საქონლის მიწოდების დღეს მისმა თანამშრომელმა დარეკა და ჩართვასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ განაცხადა. შესაძლებელია, რომ სწორედ მათ წაშალეს ის სისტემური ფაილი, რომელიც მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ პროგრამას აკლდა. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის მდივნებისათვის ჩატარებული სწავლების დროს ერთ-ერთ მათგანს განსაკუთრებით დაბალი უნარი აღმოაჩნდა მონაცემთა ელექტრონული დამუშავების სფეროში და სავარჯიშო კომპიუტერიც რამდენიმეჯერ გამოერთო. აღნიშნულ ფაქტს დაადასტურებს ბ-ნი ლევან გიორგაძე, რომელმაც სწავლება ჩაატარა.

რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს, ვაცხადებთ, რომ მოსარჩელეს სსკ-ის 494-ე და 394-ე მუხლების საფუძველზე ე. წ. არასწორად დაყენებულ საბუღალტრო პროგრამასთან მიმართებით არანაირი უფლება არ გააჩნია, ვინაიდან კომპიუტერული პროგრამის ინსტალაცია არ შეიძლება იყოს ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი. აქ უნდა ვრცელდებოდეს ნარდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნორმები.

დავით გოგშელიძე

(ადვოკატი)

როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე ამ შემთხვევაში?

I ნაბიჯი — სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძებნა

სარჩელში მოსარჩელემ თავისი მოთხოვნის საფუძვლად დაასახელა სსკ-ის 494-ე და 394-ე მუხლები. მოსამართლე არ არის ამ სამართლებრივ შეფასებაზე დამოკიდებული. მან თავად უნდა განსაზღვროს სამართლებრივი ნორმა, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს სასარჩელო მოთხოვნა. მოსარჩელის მონაცემებს აქ მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აქვთ.

მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნას საფუძვლად შეიძლება დაედოს როგორც სსკ-ის 494-ე, 394-ე მუხლები და 643-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა), ასევე სსკ-ის 490-ე მუხლის მე-2 და 643-ე მუხლის მე-3 ნაწილები (ნაკლის გამოსწორებისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა), ვინაიდან მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება შეიცავს როგორც ნასყიდობის (კომპიუტერებისა და დამატებითი ორი პროგრამის შესყიდვა), ასევე ნარდობის (პროგრამების ინსტალაცია) ელემენტებსაც.

შესაბამისად, საქმე გვაქვს შერეულ ხელშეკრულებასთან. სსკ-ის 340-ე მუხლის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული ის ნორმები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებიან შესრულების არსს. მაშასადამე, მოსამართლემ უნდა გააანალიზოს შესრულების არსი. აქ მან უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ პროგრამების ინსტალაცია ორი პროგრამისა და კომპიუტერების შეძენასთან შედარებით ბევრად უფრო მცირე მნიშვნელობის მატარებელია. ინსტალაცია აქ უფრო სტანდარტული მოქმედებაა, რომელიც არ არის წინამდებარე ხელშეკრულების მახასიათებელი და მისი არსის განმსაზღვრელი. შესაბამისად, მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ, ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, საქმე არა ნასყიდობისა და ნარდობის ელემენტების მატარებელ შერეულ ხელშეკრულებასთან, არამედ ერთიან ნასყიდობის ხელშეკრულებასთან გვაქვს, რომლის საგანია 4 კომპიუტერის ყიდვა წინასწარ დაინსტალირებული შესაბამისი პროგრამებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა შესაძლოა დაეყრდნოს სსკ-ის 494-ე და 394-ე მუხლებს ან სსკ-ის 490-ე მუხლის მე-2 ნაწილს. ვინაიდან აქ ხარჯის ანაზღაურების ინსტიტუტი ზიანის ანაზღაურებასთან შედარებით უფრო სპეციალურ ნორმად გვევლინება, მოხდება მისი უპირატესად გამოყენება.

II ნაბიჯი — მოსარჩელის ახსნა-განმარტების შემოწმება

მას შემდეგ, რაც მოსამართლე განსაზღვრავს სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს, მან უნდა შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა მოსარჩელის ახსნა-განმარტება აღნიშნულ ნორმას, კერძოდ, მოცემულია თუ არა მის ახსნა-განმარტებაში სსკ-ის 490-ე მუხლის მე-2 ნაწილის წინაპირობანი?

სსკ-ის 490-ე მუხლის მე-2 ნაწილის წინაპირობებია:

- მხარეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება;
- ნაყიდი ნივთის ნაკლოვანება;
- სსკ-ის 495-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ვადის დაცვა, ანუ სსკ-ის 495-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის გამომრიცხავი გარემოების არარსებობა;
- მყიდველისათვის წარმოქმნილი ხარჯი;
- წარმოქმნილი ხარჯის აუცილებლობა ნაკლის აღმოსაფხვრელად.

მოსარჩელის განმარტებით, მან მოპასუხეს 2004 წლის 16 თებერვალს შესთავაზა ნასყიდობის ხელშეკრულების დადება 4 კომპიუტერისა და წინასწარ დაინსტალირებული სამეწარმეო და სპეციალური საბუღალტრო პროგრამის თაობაზე, რომელსაც მოპასუხე დაეთანხმა თავისი 2004 წლის 18 თებერვლის წერილით. შეთანხმებული ფასი განისაზღვრა 10.000 ლარის ოდენობით. მხარეები არიან მეწარმეები. აღნიშნული ახსნა-განმარტების მიხედვით, მათ შორის დაიდო ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება.

მოსარჩელე აცხადებს, რომ ამის შემდეგ საბუღალტრო პროგრამის ჩართვა ვერ მოხერხდა და ამით იგი მიუთითებს შესყიდული ნივთის ნაკლოვანებაზე.

ვინაიდან მოსარჩელე მეწარმეა, მან სსკ-ის 495-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დაუყოვნებლივ უნდა წარადგინოს პრეტენზია ნაკლის თაობაზე, რაც მოცემულია მოსარჩელის მდივნის სატელეფონო საუბრით, როდესაც მან მოპასუხეს აცნობა პროგრამის ჩართვასთან დაკავშირებულ პრობლემაზე.

ვინაიდან მოპასუხემ თავიდან არ დააყენა პროგრამა, მოსარჩელემ აღნიშნული ნაკლი თავად აღმოფხვრა, რის შედეგადაც მას წარმოექმნა ხარჯი.

აღნიშნული ხარჯის გაღება აუცილებელი იყო ნაკლის აღმოსაფხვრელად. ხარჯებში აქ პირველ რიგში იგულისხმება საბუღალტრო პროგრამის ხელახალი შექმნა.

ყოველივე აღნიშნულის თანახმად, მიიჩნევა, რომ მოსარჩელის ახსნა-განმარტებაში მოცემულია სსკ-ის 490-ე მუხლის მე-2 ნაწილის ყველა წინაპირობა.

III ნაბიჯი — მოპასუხის ახსნა-განმარტების შემოწმება

მოსამართლემ შემდეგ ეტაპზე უნდა შეამოწმოს, თუ როგორი რეაგირება მოახდინა მოპასუხემ მოსარჩელის ახსნა-განმარტებაზე ანუ რომელ გარემოებებს ეთანხმება იგი (ანუ რომელს არ ხდის იგი სადავოდ, როდესაც იგი არ გამოთქვამს არანაირ აზრს მათთან დაკავშირებით) და რომელს ხდის სადავოდ, ვინაიდან მხოლოდ სადავო გარემოებები საჭიროებენ დამტკიცებას.

თავის შესაგებელში მოპასუხე დაეთანხმა მოსარჩელესთან ხელშეკრულების დადების, 4 კომპიუტერის 2004 წლის 10 მარტს მიწოდებისა და ასევე ტელეფონით გაცხადებული პრეტენზიის ფაქტებს. ეს გარემოებები არ არის მხარეებს შორის სადავო, და, შესაბამისად, არ საჭიროებენ მტკიცებულებათა შეგროვებას მოსამართლის მიერ.

მოპასუხე სადავოდ ხდის იმ გარემოებას, რომ საბუღალტრო პროგრამა ჯეროვნად არ იყო დაყენებული, რითაც იგი მიუთითებს, რომ ნივთის მიწოდებისას იგი არ იყო ნაკლოვანი. ვინაიდან ნივთის მიწოდებისას მისი ნაკლოვანება არის იმ ნორმის ერთ-ერთი წინაპირობა, რომელიც მოთხოვნის კანონიერი საფუძველია, მოსამართლემ ამ გარემოებასთან დაკავშირებით უნდა მოახდინოს მტკიცებულებათა შეგროვება.

ყოველივე აღნიშნულის შედეგად მიიჩნევა, რომ სასამართლოს წინაშე უნდა დამტკიცდეს საკითხი – იყო თუ არა საბუღალტრო პროგრამა ნაკლის მქონე მისი მიწოდებისას.

IV ნაბიჯი — მტკიცების ტვირთის საკითხის გარკვევა

შემდეგ ეტაპზე მოსამართლე არკვევს დასამტკიცებელი გარემოების ფარგლებში მტკიცების ტვირთის საკითხს. აქ მოქმედებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პრინციპი, კერძოდ, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს მისთვის ხელსაყრელი სადავო გარემოება, ანუ გარემოება, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას.

აქ მტკიცების ტვირთი აღნიშნულ სადავო გარემოებასთან დაკავშირებით ეკისრება მოსარჩელეს.

V ნაბიჯი — მტკიცებულებების შეგროვება

მოსარჩელემ საბუღალტრო პროგრამის არასწორი ინსტალაციის დასამტკიცებლად მოწმედ დაასახელა თავისი მდივანი ქ-ნი მაია კაპანაძე და შპს „ბერათელის“ თანამშრომელი.

მოპასუხემ კი საპირისპირო გარემოების დასამტკიცებლად მოითხოვა თავისი თანამშრომლის დაკითხვა. მოსამართლე ვალდებულია, დაკითხოს მხარეების მიერ აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით დასახელებული ყველა მოწმე.

მოწმეთა დაკითხვის შედეგები:

ჩატარდა მოწმეების დაკითხვა შემდეგ საკითხთან დაკავშირებით: იყო თუ არა საბუღალტრო პროგრამა მიწოდების მომენტში არასწორად დაყენებული?

ა. ქ-ნი მაია კაპანაძე:

„მე გახლავართ მაია კაპანაძე. ჩემთვის გასაგებია, რომ სასამართლოს უნდა მოვახსენო სრული სიმართლე და რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩავიდენ სისხლის სამართლის დანაშაულს.

ორი წელია, რაც მოსარჩელესთან მდივნად ვმუშაობ. კომპიუტერებთან დაკავშირებით კი შემდეგს მოგახსენებთ:

დირექტორმა, ბ-მა გიორგი ნამიჭეიშვილმა, ჯერ კიდევ ჩემი სამუშაოზე მოსვლისას მითხრა, რომ გეგმავს საბუღალტრო სისტემის შეცვლას, ვინაიდან ფირმაში მაშინ ჯერ არ არსებობდა ელექტრონული საბუღალტრო სისტემა. მისთვის შესაბამისად მეტად მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ მე კარგად ვერკვეოდი სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამით მუშაობაში. ჩემს წინა სამსახურში სწორედ ელექტრონული საბუღალტრო პროგრამით ვმუშაობდი, რაც გახდა ჩემი ახალ სამსახურში აყვანის საფუძველიც, ვინაიდან ჩემი კოლეგა, რომელიც წლების მანძილზე მუშაობს ფირმაში, ვერ ერკვევა თანამედროვე პროგრამებში და ხშირად ელემენტარულ საკითხებთან დაკავშირებითაც უწევს კითხვა.

მოკლედ, ბ-მა ნამიჭეიშვილმა 2004 წლის დასაწყისში გადაწყვიტა საჭირო პროგრამების შეძენა, რომელთა მოწოდებაც მოხდა მარტის თვეში. მე ეს კარგად მახსოვს, ვინაიდან ბ-მა ნამიჭეიშვილმა დამავალა, ყველა კომპიუტერზე შემემოწმებინა პროგრამების მუშაობა. იმ დღეს ბევრი სხვა საქმეც მქონდა, მაგრამ ბ-ნი ნამიჭეიშვილისათვის აღნიშნული დავალების შესრულება მეტად პრიორიტეტული იყო. ამან ჩემი კოლეგის მხრიდან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, ვინაიდან მას,

ამდენი წლის თანამშრომელს, არ დაევალა აღნიშნული საკითხის მოგვარება და თანაც ჩემ მიერ ამ დავალების შესრულების დროს მას თავის თავზე უნდა აეღო ჩემი სხვა საქმიანობა.

კომპიუტერები ყოველგვარი პრობლემის გარეშე ჩავრთე და ასევე წარმატებით ჩაიარა ოპერაციული სისტემის ფუნქციების შემოწმებამაც. ხოლო რაც შეეხება საბუღალტრო პროგრამას, მისი ამუშავება ვერც ერთ კომპიუტერზე ვერ მოხერხდა, რამაც მეტად გამაოცა, რადგან ზუსტად წინა კვირაში მოპასუხესთან გავლილი მქონდა აღნიშნული პროგრამის მოხმარების კურსი, სადაც სრულებით არ გამჭირვებია მასთან მუშაობა. ამის შემდეგ დავრეკე მოპასუხესთან და მოვახსენე, რომ პროგრამა არ ირთვებოდა. მაშინ ტელეფონით ბ-ნ გიორგაძეს ვესაუბრე, რომელმაც ჩაგვიტარა ზემოთ აღნიშნული კურსი. მან განაცხადა, რომ ასეთი რამ დაუშვებელია. მას შემდეგ, რაც მე მოვახსენე ჩემ მიერ პროგრამის ჩასართავად განხორციელებული მოქმედებების შესახებ, მან განაცხადა, რომ ჩემ მიერ ყველაფერი სწორად არის შესრულებული და რომ კიდევ ერთხელ მეცადა ყველაფერი თავიდან. თვითონ ბ-ნ გიორგაძეს არ შეეძლო მოსვლა მნიშვნელოვანი შეხვედრების გამო და არც სხვა რომელიმე თანამშრომელი იყო თავისუფალი.

მე კიდევ ერთხელ ვცადე პროგრამის ჩართვა, მაგრამ ისევ უშედეგოდ.

როდესაც ბ-ნ ნამიჭეიშვილს მოვუყევი ჩემი სატელეფონო საუბრის შესახებ, იგი განარისხა კლიენტების ასეთმა ცუდმა მომსახურებამ და მითხრა, რომ თავად იკისრებდა ამ საქმის მოგვარებას.

ამის შემდეგ მან ერთი თუ ორი წერილი გაუგზავნა მოპასუხეს, მაგრამ საბოლოოდ პრობლემა მაინც სხვა ფორმის დახმარებით მოგვარდა. თუ რა სჭირდა საბუღალტრო პროგრამას, ამას ვერ გეტყვით, რადგან მისი ხელახალი ინსტალაციისას ავად ვიყავი.“

ბ. მამუკა ნიჟარაძე:

„მე გახლავართ მამუკა ნიჟარაძე, შპს „ბერათელის“ თანამშრომელი.

მე განმიმარტეს, რომ სასამართლოს უნდა ვუთხრა სიმართლე და რომ ტყუილის თქმის შემთხვევაში ჩავიდნენ სისხლის სამართლის დანაშაულს.

იმ სამუშაოსთან დაკავშირებით, რომელიც მე მოსარჩელესთან შევასრულე, ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი. ვერც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გამართულ დავაზე გეტყვით რამეს.

2004 წლის გაზაფხულზე დაგვევალა მოსარჩელესთან დაყენებული კომპიუტერული პროგრამის შემოწმება. ფირმა „ბერათელმა“ მე გამგზავნა აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად, სადაც ბ-მა ნამიჭეიშვილმა 4 კომპიუტერი მაჩვენა. ოთხივე ახალი მოდელის იყო. ბ-მა ნამიჭეიშვილმა მითხრა, რომ კომპიუტერებში დაყენებულია სპეციალური საბუღალტრო პროგრამა, რომელიც არ მუშაობს. პროგრამას შევხედე და მივხვდი, რომ ეს იყო სტანდარტული საბუღალტრო პროგრამა მცირე მეწარმეთათვის. ჩვენც ასეთი პროგრამით ვსარგებლობთ. პროგრამა არ ირთვებოდა, რადგან ყველა სისტემური ფაილი არ იყო დაყენებული, ხოლო ბ-ნ ნამიჭეიშვილს არ ჰქონდა პროგრამის საინსტალაციო დისკი, სადაც განთავსებულია ყველა სისტემური ფაილი. ბ-მა ნამიჭეიშვილმა განაცხადა, რომ დიდი დრო დასჭირდებოდა ამ დისკის იმ ფირმისაგან მიღებას, ვისგანაც მან კომპიუტერები იყიდა, რის შემდეგაც შევთავაზე, რომ ჩვენი ფირმისაგან ხელახლა ეყიდა საბუღალტრო პროგრამა, რომელსაც მე დავაყენებდი. ბ-მა ნამიჭეიშვილმა პროგრამის ფასი მკითხა და მე ვუპასუხე, რომ იგი დაახლოებით 150-200 ლარი დაჯდებოდა, რაზეც ბ-ნი ნამიჭეიშვილი დამეთანხმა. ამის შემდეგ ჩვენი ფირმიდან წამოვიღე პროგრამის საინსტალაციო დისკი და მოვახდინე მისი ინსტალაცია. აი, სულ ეს იყო.“

პასუხი მოსამართლის შეკითხვაზე:

„კომპიუტერის შემოწმებისას შევამჩნიე, რომ პროგრამას აკლდა ერთ-ერთი სისტემური ფაილი. ამის გამო ვთვლი, რომ იგი არასწორადაა დაყენებული. ამ პროგრამის ინსტალაციისათვის თანმიმდევრულად უნდა დაყენდეს 5 სხვადასხვა ფაილი. აქ კი ბოლო ფაილი აკლდა.“

თეორიულად დასაშვებია ისიც, რომ მოხდა ხუთივე ფაილის ინსტალაცია, რომელთაგან შემდეგ ბოლო ფაილი წაიშალა. თუმცა მისი შემთხვევით წაშლა შეუძლებელია, რადგან ამისათვის საჭიროა საგანგებოდ ამ ფაილის გამოძახება და შემდეგ მომხმარებელს სისტემა ორჯერ ეკითხება, მართლა სურს თუ არა მას ერთ-ერთი სისტემური ფაილის წაშლა. ანუ ჩემი პასუხია: არა, სისტემური ფაილის შემთხვევით წაშლა გამორიცხებულია.“

გ. ლევან გიორგაძე:

„მე გახლავართ ლევან გიორგაძე, მოპასუხის თანამშრომელი.“

მე განმეძარტა, რომ სასამართლოს უნდა ვუთხრა სიმართლე და რომ ტყუილის თქმის შემთხვევაში ჩავიდნენ სისხლის სამართლის დანაშაულს.

მოგახსენებთ, რომ მთელი ეს ამბავი ბუნდოვნად მახსოვს. 2004 წლის დასაწყისში ძალიან ბევრი საქმე გვექონდა. ერთი კი მახსოვს, რომ საბუღალტრო პროგრამის მოხმარებასთან დაკავშირებით ჩავატარე სპეციალური კურსი, რომელშიც მონაწილეობდა მოსარჩელის ორი თანამშრომელი. ერთი მათგანი საკმაოდ გონიერი იყო, ხოლო მეორეს, მსუბუქად რომ ვთქვათ, უჭირდა თანამედროვე ტექნიკასთან ურთიერთობა. 3 საათის განმავლობაში მან ორჯერ მოახერხა თავისი კომპიუტერის შემთხვევით გამორთვა და ეჭვი მეპარება იმაში, რომ საერთოდ რამე გაიგო ჩემი ნათქვამიდან.“

პასუხი მოსამართლის შეკითხვაზე:

„დიახ, ეს თანამშრომელი ერთ-ერთი დღევანდელი მოწმე გახლავთ.“

მოწმემ განაგრძო:

„როდესაც კომპიუტერების მიწოდების შემდეგ ტელეფონით მითხრეს, რომ საბუღალტრო პროგრამა არ მუშაობდა, გავოცდი, რადგან წინა დღეს მე თვითონ დავაყენე ყველა პროგრამა და ვფიქრობდი, რომ ყველაფერი სწორად გავაკეთე კიდევ. მაგრამ შემდეგ გამახსენდა იმ სირთულეების შესახებ, რომელიც მოსარჩელის ერთ-ერთ თანამშრომელს ჰქონდა კურსის მსვლელობისას და კიდევ ერთხელ ავუხსენი ტელეფონით, თუ როგორ უნდა ჩაერთო საბუღალტრო პროგრამა. ამის შემდეგ მას აღარ დაურეკავს და, შესაბამისად, ჩავთვალე, რომ ამით პრობლემა მოგვარდა.“

პასუხი მოსამართლის შეკითხვაზე:

„ინსტალაციის შემდეგ მე ნამდვილად შევამოწმე სამეწარმეო პროგრამა. მისი არასწორი ინსტალაციის შემთხვევაში შეუძლებელია საბუღალტრო პროგრამის დაყენება. შევამოწმე თუ არა ცალკე საბუღალტრო პროგრამა, ამას ზუსტად ვერ გეტყვით. როგორც უკვე გითხარით, იმ დროისათვის ძალიან ბევრი საქმე გვექონდა, რასაც დაემატა ჩვენი მდივნის ავადმყოფობაც, რის გამოც გაუხსნელი დარჩა ბევრი საფოსტო გზავნილიც.“

VI ნაბიჯი — მოწმეთა ჩვენებების შეფასება

ცალკეული ჩვენების შემოწმებამდე მოსამართლემ კიდევ ერთხელ თავისთვის ზუსტად უნდა გაიაზროს სადავო საკითხი, ანუ მოცემულ შემთხვევაში დასამტკიცებელია, იყო თუ არა საბუღალტრო პროგრამა შეცდომით დაყენებული მისი მიწოდების მომენტში.

ა) მოწმეთა ჩვენების იზოლირებული შეფასება

აა. მოწმე მათა კაპანაძე

ჩვენების შინაარსი დასამტკიცებელ საკითხთან მიმართებით

მოწმე კაპანაძე აცხადებს, რომ უშუალოდ მიწოდების შემდეგ საბუღალტრო პროგრამა არ ჩაირთო. მისი ჩვენების მიხედვით, პროგრამა მიწოდების მომენტში ნაკლის მქონე იყო.

ჩვენების დამაჯერებლობა

მოწმეს თავად დაევალა კომპიუტერებისა და დაინსტალირებული პროგრამების შემოწმება. მან მომხდარის შესახებ საკმაოდ ნათლად და ლოგიკურად მოახსენა სასამართლოს. მისი ჩვენება არ შეიცავს არანაირ წინააღმდეგობას. თუმცა მოწმე მოსარჩელის თანამშრომელია და, შესაბამისად, მას აქვს გარკვეული პირადი ინტერესი საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით, მაგრამ სასამართლოსათვის მისი ჩვენებიდან არ გამოვლინდა არც ერთი ისეთი გარემოება, რომელიც წარმოქმნიდა ვარაუდის საბაზს, რომ მის ჩვენებაზე გავლენა მოახდინეს არაპროფესიულმა ფაქტორებმა. მოწმემ საკმაოდ დეტალურად და საქმიანად აღწერა მომხდარი, რის შედეგადაც ნათლად ჩანს, რომ მას ჯერ კიდევ კარგად ახსოვს ყველაფერი. მისი ჩვენების დეტალურობაც მეტყველებს იმაზე, რომ მოწმე არ ტყუის, ვინაიდან გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ცრუ მოწმეები შეძლებისდაგვარად ნაკლებ დეტალებს რთავენ თავიანთ ჩვენებაში, რათა თავიდან აიცილონ ურთიერთგამომრიცხავ სიტუაციებში გახლართვა. სასამართლოს აზრით, თავისთავად მოწმის ჩვენება დამაჯერებელია.

ბბ. მოწმე მამუკა ნიჟარაძე

ჩვენების შინაარსი დასამტკიცებელ საკითხთან მიმართებით

თავისი ჩვენების პირველ ნაწილში მოწმე ნიჟარაძე მხოლოდ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საბუღალტრო პროგრამა სწორად არ იყო დაყენებული. თუმცა ჩვენების ეს ნაწილი არ გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ აღნიშნული ხარვეზი პროგრამის მიწოდების მომენტშიც სახეზე იყო. ამ საკითხს მოწმე სასამართლოს შეკითხვის შემდეგ ეხმაურება. მისი განმარტებით, თეორიულად არსებობს იმისი შანსი, რომ შემდგომში მომხდარიყო იმ სისტემური ფაილის წაშლა, რომელიც აკლდა პროგრამას. თუმცა, მისი თქმით, გამორიცხულია ფაილის წაშლა შემთხვევით, რაც, შესაბამისად, მეტყველებს იმაზე, რომ აღნიშნული ფაილის ინსტალაცია თავიდანვე არ მომხდარა.

ჩვენების დამაჯერებლობა

მოწმე ნიჟარაძე კომპიუტერების მიწოდებას არ ესწრებოდა, ანუ მას არ შეუძლია, საკუთარი ნაწილის საფუძველზე მოგვახსენოს, იყო თუ არა ამ მომენტისათვის საბუღალტრო პროგრამა ჯეროვნად ინსტალირებული. შესაბამისად, მისი ჩვენება ემყარება შემდგომში კომპიუტერების შემოწმების საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს. თუმცა მოწმის ახსნა-განმარტება ლოგიკურია და არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ გარემოებებს. მოწმემ გასაგებად ახსნა, თუ რატომ მიაჩნია უფრო სავარაუდოდ, რომ საბუღალტრო პროგრამა უკვე მიწოდების მომენტისათვის არ იყო სწორად დაყენებული. მისი ჩვენების დამაჯერებლობაზე უარყოფითად არ მოქმედებს ის გარემოება, რომ მან მხოლოდ მოსამართლის შეკითხვების შემდეგ გასცა კონკრეტული პასუხები დასამტკიცებელ გარემოებასთან დაკავშირებით. მართალია, ბ-ნი ნიჟარაძის ჩვენება ისეთი დეტალური არ არის, როგორც ქ-ნი კაპანაძისა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ისიც ეხება და თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ძირითად საკითხებს. შესაბამისად, მოწმე ნიჟარაძის ჩვენებაც მიიჩნევა დამაჯერებლად.

გგ. ლევან გიორგაძე

ჩვენების შინაარსი დასამტკიცებელ საკითხთან მიმართებით

მოწმე ლევან გიორგაძე აცხადებს, რომ მან შეასრულა საბუღალტრო პროგრამის ინსტალაცია. თუმცა მას არ ახსოვს, შეამოწმა თუ არა კიდევ ერთხელ მისი გამართულობა მიწოდების წინ. აქედან გამომდინარე, მოწმე ვერ ადასტურებს კომპიუტერების მიწოდების მომენტისათვის პროგრამის უხარვეზო, ჯეროვანი ინსტალაციის ფაქტს.

ჩვენების დამაჯერებლობა

ვინაიდან მოწმემ ვერ შეძლო, დასამტკიცებელ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოსათვის მიეცა ცალსახა ახსნა-განმარტება, მისი ჩვენების დამაჯერებლობას დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

ბ) საერთო შეფასება

მოწმე კაპანაძემ ნათლად და ურთიერთგამომრიცხავი განმარტებების გარეშე განაცხადა, რომ საბუღალტრო პროგრამა არ მუშაობდა. მისი ჩვენება ძირითად ნაწილში დასტურდება მოწმე ნიჟარაძის ასევე დამაჯერებელი ჩვენებით, რომლის მიხედვითაც პროგრამას აკლდა ბოლო სისტემური ფაილი. აღნიშნულს არ ეწინააღმდეგება მოწმე გიორგაძის განმარტებაც, ვინაიდან მას კარგად აღარ ახსოვს საბუღალტრო პროგრამის ინსტალაციის პროცესი და, შესაბამისად, ვერ ამბობს, შეამოწმა, თუ არა აღნიშნული პროგრამა მიწოდების წინ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევთ, რომ ქ-ნი კაპანაძე

სასწავლო კურსის მსვლელობისას არ გამოირჩეოდა დიდი ნიჭითა და მონაცემებით, ეს ფაქტიც მნიშვნელოვნად ვერ შეარყევს მოწმე კაპანაძის ჩვენების დამაჯერებლობას. პროგრამის მომსახურებისას დაშვებული შეცდომა არ მიიჩნევა სისტემური ფაილის წაშლის მიზეზად, ვინაიდან მოწმე ნიჭარაძემ, რომლის პროფესიონალიზმთან დაკავშირებით საექვო არაფერია, ფაქტიურად გამორიცხა ის გარემოება, რომ ფაილი წაიშალა შემთხვევით.

გ) დასკვნა

მტკიცებულებების ამოღების შემდეგ მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელის განცხადება საბუღალტრო პროგრამის გაუმართაობის თაობაზე კომპიუტერების მიწოდების მომენტში დამტკიცებულია. შესაბამისად, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს.

სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ნიმუში

„სარჩელი დასაბუთებულია. სსკ-ის 490-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მოსარჩელეს აქვს მოპასუხისაგან 200 ლარის მოთხოვნის უფლება.

აღნიშნული მოთხოვნის ყველა კანონისმიერი წინაპირობა სახეზეა.

უდავოა, რომ 2004 წლის 18 თებერვალს მხარეებმა დადეს ხელშეკრულება 4 კომპიუტერისა და წინასწარ დაინსტალირებული საწარმოო და საბუღალტრო პროგრამების მიწოდების თაობაზე. თუმცა მოპასუხის მიერ მიწოდებული კომპიუტერები გამოუსადეგარი აღმოჩნდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის და, სსკ-ის 494-ე მუხლისა და 488-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, იყო ნაკლის მქონე, რაც გამოიხატა იმით, რომ კომპიუტერებში დაყენებული საბუღალტრო პროგრამა მოსარჩელესათვის მისი მიწოდების მომენტში არ იყო გამართული. აღნიშნული გარემოება სასამართლოსათვის დადასტურდა შესაბამისი მტკიცებულებების ამოღების საფუძველზე.

მოწმე კაპანაძემ დამაჯერებლად განუმარტა სასამართლოს, რომ უშუალოდ კომპიუტერების მიწოდების შემდეგ, 2004 წლის 10 მარტს, მათი შემოწმებისას აღმოაჩინა საბუღალტრო პროგრამის ჩართვის შეუძლებლობა. მოწმის ჩვენება დამაჯერებელია. სწორედ ქ-ნ კაპანაძეს დაევალა მიწოდების შემდეგ კომპიუტერებისა და მისი პროგრამების შემოწმება და, შესაბამისად, მის მიერ კომპიუტერების მდგომარეობის ასახვა ემყარება პირადად ნანახს. ის, რომ ქ-ნ კაპანაძეს კარგად ახსოვს ყოველივე მომხდარი, კარგად ჩანს მის განმარტებებში. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მას,

როგორც მოსარჩელის თანამშრომელს, გარკვეული პირადი ინტერესი ამოდრავებს საქმის მსველობასთან დაკავშირებით, მაგრამ ქ-ნი კაპანაძის ჩვენება მაინც დამაჯერებელია. მისი განმარტებები ძალზე ნათელი, დეტალური და გაწონასწორებულია. ამავე დროს ქ-ნი კაპანაძის ჩვენება ძირითად ნაწილში დასტურდება მოწმე ნიჟარაძის ჩვენებით, რომელმაც მოსარჩელის დავალებით შეასრულა საბუღალტრო პროგრამის ჯეროვანი ინსტალაცია და, ამასთან, პირადად არ არის მონაწილე წინამდებარე სამართლებრივი დავისა. მოწმე ნიჟარაძის ჩვენების მიხედვით, საბუღალტრო პროგრამა არ მუშაობდა, რადგან მას აკლდა ერთ-ერთი სისტემური ფაილი. თუმცა მან არ გამორიცხა იმის შესაძლებლობა, რომ აღნიშნული ფაილის წაშლა ინსტალაციის შემდეგ მოხდა, მაგრამ ფაქტიურად გამორიცხა ის გარემოება, რომ მისი წაშლა მოხდა შემთხვევით, ვინაიდან, მისი განმარტებით, სისტემური ფაილის წასაშლელად საჭიროა რამდენიმე სპეციალური ოპერაციის ჩატარება, რაც შემთხვევითობას ნაკლებად სავარაუდოდ ხდის.

მოწმე კაპანაძის განმარტებებს ეჭვქვეშ არც მოწმე გიორგაძის ჩვენება აყენებს, ვინაიდან მას საბუღალტრო პროგრამის წინასწარ ინსტალაციასთან დაკავშირებით კონკრეტული არაფერი ახსოვს. იგი ვერ აძლევს სასამართლოს კონკრეტულ ჩვენებას იმის შესახებ, შეამოწმა თუ არა კიდევ ერთხელ საბუღალტრო პროგრამა მოსარჩელისათვის მიწოდებამდე. ის გარემოება, რომ მოწმე გიორგაძის ჩვენებით, თითქოს ქ-ნი კაპანაძე კომპიუტერთან ურთიერთობაში მეტად გამოუცდელი იყო და პროგრამის შემსწავლელ კურსებზე თავი ვერ ისახელა, არ არის მნიშვნელოვანი საქმის გადაწყვეტისათვის. სასამართლოს არ აქვს იმის მიზეზი, რომ მეტი ყურადღება დაუთმოს გიორგაძის ჩვენებას კაპანაძესთან შედარებით, რომლის განმარტებითაც მას თავად არანაირი პრობლემა არ ჰქონია კომპიუტერის მოხმარებისას. ასეც რომ იყოს, ეს საკითხი უმნიშვნელოა, ვინაიდან სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ-ნი კაპანაძის არაკომპეტენტურობა აღნიშნულ საკითხში ვერ გამოიწვევდა კომპიუტერიდან სისტემური ფაილის ამოშლას. ამის შესაძლებლობას სასამართლომ მისცა მხოლოდ თეორიული კვალიფიკაცია, რის შედეგადაც იგი პრაქტიკაში გამოირიცხა. სასამართლოს არ გააჩნია იმის საფუძველი, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მოწმე ნიჟარაძის პროფესიონალიზმი. ხოლო რაც შეეხება ნაკლებად ფაილის განზრახ წაშლას, არც ასეთი ვარაუდისათვის არსებობს საფუძვლიანი მიზეზი.

ვინაიდან უდავოა, რომ მოსარჩელის დავალებით შპს ფირმა „ბერათელმა“ მასთან ხელმეორედ დააინსტალირა საბუღალტრო პროგრამა, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს ნივთის ნაკლის აღმოფხვრისათვის გაწეული ხარჯის, ანუ 200 ლარის, ანაზღაურება.“

კაზუსი №2:

სასამართლო XX

(მისამართი)

მოსარჩელე:

ნოდარ მაისურაძე,
ნუცუბიძის ქ. № 35, 0187, თბილისი

მოპასუხე:

დომიტრი ბერიძე,
მარჯანიშვილის ქ. № 20, 0125, თბილისი

სარჩელი

(სესხის დაბრუნება)

მოსარჩელემ მოპასუხეს 2005 წლის 4 იანვრის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე (შეთანხმების ორიგინალი თან ერთვის) ასესხა თანხა 2000 ლარის ოდენობით, რომლის დაბრუნებასაც იგი მოპასუხისაგან ითხოვს სსკ-ის 623-ე მუხლზე დაყრდნობით.

მხარეები ჯერ კიდევ სკოლიდან მოყოლებული მეგობრები არიან. 2004 წლის ოქტომბერში მოპასუხემ სამუშაო დაკარგა, 2005 წლის იანვრიდან კი იგი ისევ მუშაობს. მიუხედავად ამისა, მას იანვარში ფინანსური პრობლემები ჰქონდა, რის გამოც მან მოსარჩელეს სთხოვა ფულადი დახმარება და დაჰპირდა, რომ, როგორც კი თვის ბოლოს პირველ ხელფასს მიიღებდა, ნასესხებ თანხას უკან დაუბრუნებდა.

მრავალწლიანი მეგობრობის ხატრით მოსარჩელე დათანხმდა თანხის მიცემაზე მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ შორის შეთანხმება დაიდებოდა წერილობითი ფორმით და მოპასუხე მას დააბრუნებდა პირველი ხელფასის მიღების შემდეგ, არა უგვიანეს 2005 წლის 4 თებერვალს. 2005 წლის 4 იანვარს მხარეები წერილობით შეთანხმდნენ შემდეგზე: მოსარჩელე მოპასუხეს ასესხებს თანხას 2000,00 ლარის ოდენობით. მოპასუხე ამ თანხას დააბრუნებს არაუგვიანეს 2005 წლის 4 თებერვლისა.

ამ შეთანხმების საფუძველზე მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა 2000,00 ლარი.

ამ ყოველივეს დაადასტურებს მოსარჩელის ქალიშვილი, ნათია მაისურაძე (მის.: ნუცუბიძის ქ. №35, 0187, თბილისი), რომელიც ესწრებოდა 2005 წლის 4 იანვრის საუბარს.

მიუხედავად მრავალი სატელეფონო და წერილობითი მოწოდებისა, მოპასუხეს დღემდე არც ერთი ლარი არ დაუბრუნებია, რის გამოც აუცილებელი გახდა აღნიშნული სარჩელის აღძვრა.

[სტანდარტული წინადადება]

მოვითხოვ, მოპასუხეს დაეკისროს ჩემთვის 2000 ლარის გადახდა.

ნოდარ მაისურაძე

შეთანხმება

04 იანვარი, 2005 წელი

ნოდარ მაისურაძე, მცხოვრები ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. 35-ში, სესხის სახით აძლევს დიმიტრი ბერიძეს, მცხოვრებს ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქ. 20-ში, 2000,00 ლარს.

დიმიტრი ბერიძემ უნდა დააბრუნოს აღნიშნული თანხა 2005 წლის 4 თებერვლამდე.

ნოდარ მაისურაძე

დიმიტრი ბერიძე,

მარჯანიშვილის ქ. №20, 0125, თბილისი

შესაგებელი

მაისურაძესა და ბერიძეს შორის არსებულ სამართლებრივ დავასთან დაკავშირებით ვაცხადებ შემდეგს:

მოსარჩელის ნათქვამი, რომ მოპასუხემ სთხოვა მას, თანხა 2000,00 ლარის ოდენობით დროებით ესესხებინა, პრინციპში სწორია. ასევე სწორია, რომ 2005 წლის 4 იანვარს მხარეებმა ხელი მოაწერეს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ წერილობით შეთანხმებას 2000,00 ლარზე. თუმცა სიმართლეს არ შეესაბამება ის, რომ მოსარჩელემ 2005 წლის 4 იანვარს მოპასუხეს გადასცა მთლიანი თანხა. მოსარჩელეს მოპასუხეს მხოლოდ 1000,00 ლარის ოდენობით გადაუხადა. მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ აღმოაჩინა, რომ სახლში მხოლოდ 1000,00 ლარი ჰქონდა, მოპასუხეს შეპირდა, რომ ორ დღეში მასთან შეივლიდა და დარჩენილ 1000,00 ლარს მისცემდა.

ამ ფაქტის დადასტურება შეუძლია მოპასუხის ძმისშვილს, მალხაზ ბერიძეს, მცხოვრებს მარჯანიშვილის ქ. 20-ში. იგი თან ახლდა მოპასუხეს მოსარჩელესთან.

მოსარჩელემ დარჩენილი თანხა 1000,00 ლარის ოდენობით მოპასუხეს არ მისცა. მოპასუხესაც აღარ უკითხავს ამ თანხის შესახებ, რადგანაც მან დაადგინა, რომ არსებული 1000,00 ლართაც შეეძლო მისი საქმეების მოგვარება.

მაშასადამე, სამართლებრივი თვალსაზრისით სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე, რასაც სსკ-ის 623-ე მუხლი ითვალისწინებს, მოსარჩელეს აქვს მოპასუხის მიმართ მოთხოვნის უფლება მხოლოდ 1000,00 ლარზე.

მიუხედავად ამისა, მოპასუხემ მოსარჩელეს უკვე დაუბრუნა სესხი 1000,00 ლარის ოდენობით. მოპასუხემ ფული 2005 წლის 1 თებერვალს მოსარჩელის ოფისში მიიტანა. ვინაიდან, რადგანაც მოპასუხე ადგილზე არ იყო, მოპასუხემ თანხა კონვერტით მის მდივანს ქალბატონ ნოზაძეს გადასცა, რომელიც თანხის მიღებაზე იყო უფლებამოსილი. მას შემდეგ, რაც მდივანმა ფული გადათვალა, შეადგინა ქვითარი, რომლის ორიგინალიც წარმოდგენილია საქმეში მტკიცებულების სახით.

დიმიტრი ბერიძე

თბილისი, 01.02.2005

ქვითარი

გაიცა დიმიტრი ბერიძისაგან 900 ლარის კონვერტით მიღების თაობაზე.

ე. ნოზაძე

ნოდარ მაისურაძე,
ნუცუბიძის ქ. №35,
0187, თბილისი

სამართლებრივი დავა - მაისურაძე/ზერიძე

შესაგებელთან დაკავშირებით მინდა განვაცხადო:

1. მოსარჩელემ მოპასუხეს 2005 წლის 4 იანვარს სრულად გადასცა შეთანხმებული თანხა 2000 ლარის ოდენობით. მას ამის გაკეთება შეეძლო, რადგანაც სახლში განსაკუთრებული შემთხვევებისთვის ყოველთვის ჰქონდა რამოდენიმე ათასი ლარი. რასაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსარჩელის ქალიშვილი დაადასტურებს, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს უშუალოდ შეეთანხმების ხელის მოწერის შემდეგ გადასცა 2000,00 ლარი.

2. მცდარია ასევე ის, რომ მოპასუხემ თანხა 1000,00 ლარის ოდენობით უკვე დააბრუნა. რაც შეეხება მის მიერ წარდგენილ ქვითარს, იგი ყალბია. თუმცა მოპასუხე 2005 წლის 1-ლ თებერვალს იმყოფებოდა მოსარჩელის ოფისში, მაგრამ მან მის მდივანს, ქ-ნ ელენე ნოზაძეს (მის.: წინამძღვრიშვილის ქ. №38, თბილისი) ფული კი არ გადასცა, არამედ სთხოვა მოსარჩელესთან შეხვედრა, რათა მასთან ესაუბრა თანხის უკანდაბრუნებაზე. ამ მომენტისათვის ქ-ნი ნოზაძე ამზადებდა ქვითარს საოფისე საქონლის შემენის თაობაზე. მას ქვითრის ბლანკი ხელმოწერილი, მაგრამ ჯერ შეუვსებელი ჰქონდა. ქ-მა ნოზაძემ მოკლე დროით დატოვა ოთახი, რათა ჩაეხედა მოსარჩელის შეხვედრათა განრიგში და მოპასუხისათვის დაეთქვა შეხვედრის დრო. როცა მოპასუხემ დატოვა ოფისი, ქ-მა ნოზაძემ ვეღარ იპოვა ცარიელი ქვითრის ბლანკი, მაგრამ იმ დროისათვის მას ამის თაობაზე არ უნერვიულია. აღნიშნულის დასამტკიცებლად მოსარჩელე მიუთითებს თავისი მდივნის ჩვენებაზე. მაშასადამე, 1000,00 ლარის მიღებაზე ქვითრის არსებობას მოსარჩელე ხსნის მხოლოდ იმით, რომ მოპასუხემ ოფისიდან წაიღო ცარიელი, მაგრამ ხელმოწერილი ბლანკი და მოგვიანებით თავად შეავსო იგი.

ნოდარ მაისურაძე

დიმიტრი ბერიძე,
მარჯანიშვილის ქ. №20,
0125, თბილისი

სამართლებრივი დავა - მაისურაძე/ბერიძე

არანაირად არ ვეთანხმები ჩემ მიერ ქვითრის გაყალბების ფაქტს. მოსარჩელის მდივანი იტყუება. შესაძლებელია, რომ მან მისაკუთრა გადახდილი თანხა და ასეთი ტყულით იცავს თავს. ვითხოვ, რომ ქ-ნი ნოზაძე მოწვეულ იქნეს მოწმედ.

დიმიტრი ბერიძე

როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე ამ შემთხვევაში?

I ნაბიჯი — სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძებნა

მოსარჩელე თავის მოთხოვნას 2000,00 ლარზე საფუძვლად უდებს სსკ-ის 623-ე მუხლს. მოსამართლისათვის არ არის სავალდებულო ეს სამართლებრივი შეფასება. მან, მას შემდეგ, რაც გაეცნობა მხარის ახსნა-განმარტებას, უნდა გადაამოწმოს, არის, თუ არა აღნიშნული ნორმა მოთხოვნის საფუძველი მოცემულ შემთხვევაში. ამ მაგალითში ეს ასეა. თუმცა შესაძლოა, უკან დაბრუნების მოთხოვნა თხოვებასთან დაკავშირებული ნორმების, კერძოდ სსკ-ის 615-ე მუხლის საფუძველზეც წარმოიშვას. განსხვავება ისაა, რომ ამ შემთხვევაში მოსარჩელეს იმის უფლებაც ექნებოდა, მოპასუხისაგან მოეთხოვა ზუსტად იმ კუპონების დაბრუნება, რომლებიც მან გადასცა. ხოლო თუ სესხთან დაკავშირებულ ნორმებს მივყვებით, მას შეუძლია მოპასუხეს მოსთხოვოს მხოლოდ გაცემული თანხის, ანუ მისი ოდენობის, უკან დაბრუნება. ძირითადად, როდესაც საუბარია თანხის გარკვეული, შეზღუდული დროით „განსაკარგავად გადაცემაზე“, მაშინ საქმე გვაქვს სესხთან.

II ნაბიჯი — მოსარჩელის ახსნა-განმარტების შემოწმება

მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, მიუთითა თუ არა მოსარჩელემ თავის ახსნა-განმარტებაში სსკ-ის 623-ე მუხლის საფუძველზე მოთხოვნის წინაპირობების არსებობაზე.

ეს წინაპირობებია:

- ნამდვილი სასესხო ხელშეკრულების დადება (სსკ-ის 624-ე მუხლის თანახმად, სასესხო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ასევე წერილობით);
- სასესხო თანხის გადაცემა მსესხებელზე;
- სასესხო თანხის უკან დაბრუნების ვადის დადგომა, სსკ-ის 626-627-ე მუხლების თანახმად.

უდავოდ დაიდო 2005 წლის 4 იანვარს მხარეებს შორის წერილობითი სესხის ხელშეკრულება. თანხის დაბრუნების ვადად 2005 წლის 4 თებერვალი განისაზღვრა. მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მოპასუხეს მთლიანად გადასცა შეთანხმებული სასესხო თანხა. შესაბამისად, მისი ახსნა-განმარტების მიხედვით, მოსარჩელეს სადავო და უდავო საქმის გარემოებების საფუძველზე აქვს 2000 ლარის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება.

III ნაბიჯი — მოპასუხის ახსნა-განმარტების შემოწმება

მოპასუხე სადავოდ ხდის მოსარჩელისაგან 2000,00 ლარის მიღების ფაქტს. ამის სანაცვლოდ მოსარჩელემ მას გადასცა თანხა 1000,00 ლარის ოდენობით. აქ გაურკვეველობაა კონკრეტულ თანხასთან დაკავშირებით, რომელიც მოსარჩელემ მოპასუხეს გადაუხადა. ამიტომ, მოსამართლემ, უნდა შეაგროვოს მტკიცებულებები საკითხზე, მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა 1000,00 ლარი თუ 2000,00 ლარი.

ამას გარდა, მოპასუხე აცხადებს, რომ მან თანხა 1000,00 ლარის ოდენობით მოსარჩელეს უკვე გადაუხადა. მისი განმარტების საფუძველზე (მოსარჩელემ ეს სადავოდ არ გაუხდია) მდივან ნოზამეს თანხის მიღების უფლებამოსილება გააჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ, სსკ-ის 427-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს 1000,00 ლარის უკან დაბრუნების ვალდებულება. მოსარჩელე სადავოდ ხდის თანხის დაბრუნების ფაქტს. მოსამართლემ, მაშასადამე, ამ საკითხთან დაკავშირებითაც უნდა ამოიღოს მტკიცებულება.

IV ნაბიჯი — მტკიცების ტვირთის საკითხის გარკვევა:

სსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლი აბზაცის მიხედვით, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა ის სადავო საქმის გარემოების წინაპირობები, რომლებიც მის კანონისმიერ მოთხოვნას ადასტურებს, თუ იგი სადაო გახდა მოპასუხის მიერ. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მან 2005 წლის 4 იანვარს მოპასუხეს გადაუხადა 2000,00 ლარი.

მოპასუხემ კი, თავის მხრივ, უნდა დაამტკიცოს, რომ მან 1000,00 ლარი დაუბრუნა მოსარჩელეს. შესრულების სადაოდ გახდომის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი ყოველთვის ეკისრება მოვალეს.

V ნაბიჯი — მტკიცებულებების შეგროვება:

მოსარჩელეს მხოლოდ ხელშეკრულების შინაარსზე მითითებით არ შეუძლია გადახდის ფაქტის დადასტურება, ვინაიდან მისი შინაარსიდან არ გამომდინარეობს, რომ თანხის გადახდა მოხდა მოპასუხის მიერ ხელშეკრულებაზე უშუალოდ ხელის მოწერის შემდეგ. ამას თვით მოსარჩელეც არ ადასტურებს.

მოსარჩელემ 2000,00 ლარის გადაცემის ფაქტის დასამტკიცებლად თავისი ქალიშვილი დაასახელა მოწმედ. მოპასუხემ კი საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად – თავისი ძმისშვილი.

ობიექტურობის გამოსავლენად მოსამართლემ ორივე მხარის მოწმე უნდა დაკითხოს.

რაც შეეხება თანხის უკან დაბრუნებას, უნდა მოხდეს ქვითრის შეფასება და იმ შემთხვევაში, თუ იგი აღმოჩნდება დამაჯერებელი მტკიცებულება, მოსამართლე მისი შინაარსის სისწორესთან დაკავშირებით მოსარჩელის მდივანს მოწმედ დაკითხავს.

მოწმეთა დაკითხვის შედეგები

ა. ნათია მაისურაძე:

„მე გახლავართ ნათია მაისურაძე, მოსარჩელის ქალიშვილი. მე განმიმარტეს, რომ ამის გამო უფლება მაქვს, უარი ვთქვა ჩვენების მიცემაზე, მაგრამ გადავწყვიტე, მოგცეთ ჩვენება. ჩემთვის გასაგებია, რომ უნდა ვთქვა სიმართლე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩავიდნენ სისხლის სამართლის დანაშაულს.

მე 2005 წლის 4 იანვარს ვესწრებოდი მოლაპარაკებას. მოპასუხე დაახლოებით 19 სთ-ზე თავის ძმისშვილთან ერთად მოვიდა ჩვენთან სახლში. მამაჩემმა ყავის მომზადება მთხოვა. ყავა სასტუმრო ოთახში შევიტანე, სადაც მამაჩემი და მოპასუხე ლაპარაკობდნენ იმის თაობაზე, რომ მოპასუხემ საბედნიეროდ სამსახური იშოვა. მე არც ვიცოდი, რომ იგი მანამდე უმუშევარი იყო. შემდეგ დარეკა მოპასუხის ძმისშვილის ტელეფონმა. მან უპასუხა, მაგრამ ვინაიდან ჩვენს ბინაში ტელეფონი კარგად არ იჭერს, მას არ ესმოდა თანამოსაუბრეს ხმა, რის გამოც იგი აივანზე გავიდა. სიცივე იყო და ამიტომ მის უკან კარი მივხურე. მამაჩემი და მოპასუხე ისევ ამ უკანასკნელის სამუშაო ადგილსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საუბრობდნენ, რაც დამაფიქრებელი იყო

მისი უმუშევრობის გამო. მამაჩემმა მას ფინანსური დახმარება შესთავაზა. ამასთან, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მას შეძლებისდაგვარად მალე ესაჭიროება ეს თანხა. მინდა დავძინო, რომ მამაჩემს ამასთან დაკავშირებით ერთხელ უკვე ჰქონდა ცუდი გამოცდილება მიღებული თავისი სხვა ნაცნობისაგან.“

პასუხი სასამართლოს შეკითხვაზე:

მოპასუხემ მას უთხრა, რომ იგი ფულს პირველი ხელფასის მიღებისთანავე დააბრუნებდა. მამაჩემმა მას 2000 ლარის სესხება შესთავაზა. ამასთან მას სურდა სესხის გადაცემის ფაქტის უზრუნველყოფისთვის გაეფორმებინა წერილობითი შეთანხმება, რაზედაც მოპასუხემ თანხმობა განაცხადა. მამაჩემმა ამისათვის მთხოვა საერთო ოთახის კარადიდან ფურცლისა და საწერი კალმის მოტანა. მეც, რა თქმა უნდა, მოვიტანე. შემდეგ მამაჩემმა დაწერა, რომ იგი მოპასუხეს გადასცემს 2000,00 ლარს და ეს თანხა 2005 წლის 4 თებერვლამდე უკან უნდა გადაიხადოს. მამაჩემმა და მოპასუხეს ამ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. მამაჩემმა მთხოვა მისი საძინებლიდან 2000,00 ლარი მომეტანა. მას ერთ-ერთ უჯრაში ყოველთვის უდევს გარკვეული თანხა განსაკუთრებული შემთხვევებისთვის. მე გავეშურე საძინებელი ოთახისკენ, გამოვიღე უჯრიდან აღნიშნული თანხა, გადავთვალე და გადავეცი მამაჩემს. მამაჩემმა ეს თანხა მისცა მოპასუხეს და სთხოვა ფული კიდევ ერთხელ გადაეთვალა. მოპასუხემ გადათვალა ფული, დაადასტურა თანხის მიღება და მადლიერების გრძნობით ჩაიდო შარვლის ჯიბეში. მე შემდეგ მოპასუხის ძმისშვილს გავუღე კარი, რადგან მას საუბარი დაემთავრებინა და აივნის კარზე აკაკუნებდა. მოპასუხემ მას განუცხადა, თუ როგორი კარგი მეგობარია მისთვის მამაჩემი, რადგან იგი მას დაეხმარებოდა 2000 ლარით. რამდენ ხანს დარჩნენ ამის შემდეგ ჩვენი სტუმრები, ვერ გეტყვით, რადგან მე ვახშმისათვის პურის საყიდლად წავედი.“

ბ. მალხაზ ბერიძე:

„მე გახლავართ მოპასუხის ძმისშვილი, მალხაზ ბერიძე. მე განმიმარტეს, რომ სასამართლოს სიმართლე უნდა მოვახსენო.“

ბიძაჩემსა და მოსარჩელეს შორის დადებული შეთანხმების თაობაზე შემიძლია განვაცხადო შემდეგი:

იანვრის დასაწყისში ბიძაჩემთან ერთად მის ერთ-ერთ მეგობარს, მოსარჩელეს, ვესტუმრეთ, რომელმაც შესანიშნავად მიგვიღო და ყავაც შემოგვთავაზა, რომელიც მისმა ქალიშვილმა მოგვიძხადა. მაშინ ბიძაჩემს ფინანსური პრობლემები ჰქონდა, ვინაიდან მანამდე, რამდენიმე თვეს, უმუშევარი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მან იანვრიდან მუშაობა დაიწყო, მაინც ფიქრობდა ბანკში მოკლევადიანი კრედიტის აღებას.

მოსარჩელემ დიდი სიხარულით მიულოცა ბიძაჩემს ახალი სამუშაო ადგილი. ამ დროს ჩემმა მობილურმა დარეკა და რადგან მიღება ძალიან ცუდი იყო, სალაპარაკოდ აივანზე გავედი.

როცა დავბრუნდი, ბიძაჩემმა სახეგაბრწყინებულმა მახარა, რომ მოსარჩელე მისი ნამდვილი მეგობარია, რადგან მას 2000 ლარით დახმარება შესთავაზა.

პასუხი სასამართლო შეკითხვაზე:

„მე პირადად არ მინახავს, რომ მოსარჩელემ ბიძაჩემს გადასცა ფული. მე მივიჩნიე, რომ ეს უკვე მომხდარი იყო, როდესაც მე აივანზე ტელეფონზე ვსაუბრობდი.“

გ. ელენე ნოზაძე:

„მე გახლავართ ელენე ნოზაძე და ვმუშაობ მოსარჩელის მდივნად.

მე ვიცი, რომ უნდა ვილაპარაკო სიმართლე, რადგან ტყუილის შემთხვევაში შესაძლებელია აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა.

მოპასუხეს ჩემთვის არასოდეს გადმოუცია თანხა კონვერტით. თუ იგი რაიმე სხვას ამტკიცებს, მაშინ ტყუის.“

პასუხი მოსამართლის შეკითხვაზე:

„თუ იმას მკითხავთ, მეკუთვნის თუ არა მე ხელმოწერა ქვითარზე, გიპასუხებთ, რომ დიახ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე ასეთი ქვითარი არ გამომიწერია.“

პასუხი მოსამართლის შეკითხვაზე:

„დიახ, მოპასუხე 2005 წლის 1-ლ თებერვალს მოვიდა ჩვენს ოფისში. მას მოსარჩელესთან სურდა რაღაც სესხთან დაკავშირებით საუბარი, მაგრამ მოსარჩელე შეხვედრაზე იყო გასული. მე მოპასუხეს შევთავაზე შეხვედრის დანიშვნა და მოსარჩელის შეხვედრათა კალენდარში ჩასახედად რამდენიმე წუთით ოთახი დავტოვე. ქვითარზე ჩემი ხელმოწერა შემიძლია ავხსნა მხოლოდ იმით, რომ მოპასუხემ ჩემი არყოფნის დროს ოფისიდან ქვითრის ბლანკი წაიღო და შემდეგ თავადვე შეავსო.“

პასუხი მოსამართლის შეკითხვაზე:

„ის, თუ რატომ მოვაწერე ცარიელ ბლანკზე ხელი, ზუსტად აღარ მახსოვს. მგონი, იმ დღეს ველოდებოდი საოფისე საქონლის მომწოდებელს და, ალბათ, ქვითრის ბლანკი წინასწარ გავამზადე, რადგან მომწოდებელს ყოველთვის ძალიან ეჩქარება.“

პასუხი მოსამართლის შეკითხვაზე:

„წესით, მომწოდებელს საქონელთან ერთად მოაქვს თავის მიერ შედგენილი ქვითარი, რომელზეც მხოლოდ მიმღების ხელმოწერაა საჭირო. თუ რატომ ჩავთვალე, რომ უკეთესი იქნებოდა ჩემ მიერ ქვითრის ბლანკის მომზადება, დღეს ვეღარ ავხსნი.“

პასუხი მოპასუხის შეკითხვაზე:

როგორც წესი მე შემიძლია ჩემი უფროსისთვის ნაღდი ფულიც მივიღო, მაგრამ მე კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ მე თანხა 1000,00 ლარის ოდენობით არასოდეს ამიღია.

პასუხი მოსამართლის შეკითხვაზე:

„ჩემს ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით არ მსურს აქ დაწვრილებითი ცნობების მიცემა. ის, რომ მოპასუხე თანხის მისაკუთრებას მაბრალებს, უსირცხვილობად მიმაჩნია.“

VI ნაბიჯი — მტკიცებულებათა შეფასება

ცალკეული მტკიცებულების შემოწმებამდე, იქნება ეს ჩვენება თუ საბუთი, მოსამართლემ კიდევ ერთხელ თავისთვის ზუსტად უნდა ჩამოაყალიბოს სადავო საკითხი, ანუ დასამტკიცებელი საკითხებია:

- (1) მოსარჩელის განცხადება, რომ მან მოპასუხეს გადაუხადა თანხა 2000 ლარის ოდენობით;
- (2) მოპასუხის განცხადება, რომ მან 2005 წლის 1 თებერვალს მოსარჩელეს დაუბრუნა 1000,00 ლარი.

(1):

ა) მოწმეთა ჩვენების განცალკევებული შეფასება

ა. ნათია მაისურაძე:

ჩვენების შინაარსი დასამტკიცებელ საკითხთან მიმართებით

მოწმე ნათია მაისურაძე აცხადებს, რომ მამამისი მოპასუხეს შეუთანხმდა, გადაეცა თანხა 2000,00 ლარის ოდენობით და აღნიშნული თანხა 2005 წლის 4 იანვარს გადასცა. იგი ამით ადასტურებს მოსარჩელის მონათხრობს.

ჩვენების დამაჯერებლობა

მოწმე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გამართულ მნიშვნელოვან საუბარს ესწრებოდა განუწყვეტლივ და სასამართლოს საკუთარი თვალით ნანახის შესახებ მოახსენა. მისი ჩვენება საკმაოდ გასაგები, დეტალური და ლოგიკურია, მონაცემები კი – მისაღები. თუმცა მოწმეს მოსარჩელესთან ახლო ნათესაური კავშირის გამო საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი ინტერესი აქვს. მაგრამ მხოლოდ ამიტომ არ არის აუცილებელი, რომ იგი არ ჩაითვალოს დამაჯერებლად. მოწმემ თავად გამოიტანა ფული საძინებელი ოთახიდან და თანხის გადაცემამდე გადათვალა იგი. მისი ჩვენებიდან არ ჩანს კონკრეტული გარემოებები, რომლებიც მეტყველებს იმაზე, რომ მოწმის ჩვენებაზე ზეგავლენა იქონია ნათესაურმა კავშირმა. მისი ჩვენების დეტალურობა მეტყველებს უფრო იმაზე, რომ მოწმე ცდილობდა, მისი ჩვენება ყოფილიყო სინამდვილესთან რაც შეიძლება ახლოს.

ბ. მალხაზ ბერიძე:

ჩვენების შინაარსი დასამტკიცებელ საკითხთან მიმართებით

მართალია მოწმე მის ჩვენებაში ირწმუნება, რომ მოსარჩელემ სურვილი გამოთქვა მოპასუხეს 2000,00 ლარით დახმარებოდა, თუმცა აღნიშნავს, რომ მისი იქ ყოფნის დროს მოპასუხისათვის თანხის გადაცემა არ მომხდარა. მოპასუხე მოწმეს ეუბნება, რომ მოსარჩელეს მისი ფინანსური დახმარება სურს. მის შემდეგ ღია რჩება საკითხი, თუ და რა ოდენობით გადაუხადა თანხა მოსარჩელემ მოპასუხეს 2005 წლის 4 იანვარს.

ჩვენების დამაჯერებლობა

ვინაიდან კონკრეტულად დასამტკიცებელ საკითხთან დაკავშირებით მოწმეს არ შეეძლო ცალსახა ჩვენების მიცემა და მისი განმარტება, რომ საქმე ეხება ფულის ჩუქებას, გამომდინარეობს არა მისი თანდასწრების საფუძველზე გაკეთებული შეფასებებიდან, არამედ არის ერთგვარი დასკვნა, აღნიშნული ჩვენება ვერ ჩაითვლება დამაჯერებლად.

ბ) ერთობლივი განხილვა

მოწმე ნათია მაისურაძემ ნათლად და გასაგებად ჩამოაყალიბა, რომ მოსარჩელემ 2005 წლის 4 იანვარს მოპასუხეს გადასცა თანხა 2000,00 ლარის ოდენობით. შეხვედრის მსვლელობის შესახებ მისი მონაცემები ემთხვევა მოწმე მალხაზ ბერიძის ჩვენებასაც, რაც მის სისწორეზე მეტყველებს. ის, რომ მოწმე მალხაზ ბერიძეს არაფერი შეუტყვია თანხის გადაცემის შესახებ, ლოგიკურად აიხსნება იმ გარემოებით, რომ, ორივე მოწმის ჩვენების მიხედვით, მალხაზ ბერიძე დროებით იმყოფებოდა აივანზე, ხოლო თანხის

გადაცემა სწორედ ამ დროისათვის მოხდა. რაც შეეხება მოსარჩელის მოწმეს, აქ ახლო ნათესაური კავშირი არ გვევლინება მოწმის დამაჯერებლობაში ექვის შეტანის მიზეზად.

გ) დასკვნა

მოწმეთა ჩვენებების შეფასების შემდეგ მოსამართლე, წესით, უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელის მტკიცება მოპასუხისათვის 2000,00 ლარის გადაცემის ფაქტის თაობაზე, დასტურდება.

(2):

1000,00 ლარის უკან დაბრუნების დასამტკიცებლად მოპასუხემ ქვითარი წარადგინა, რომლის შინაარსის მიხედვითაც მან აღნიშნული თანხა მოსარჩელის მდივანს გადასცა.

მოსარჩელე არ შეედავა იმ ფაქტს, რომ ქვითარი ხელმოწერილია მისი მდივნის მიერ. შესაბამისად, ამით დადასტურებულია საბუთის (ანუ ხელმოწერის) ნამდვილობა. საერთო ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში მოპასუხის სასარგებლოდ ივარაუდება, რომ საბუთის შინაარსი სრული და სწორია, ანუ, რომ თანხა ქვითრის შესაბამისად არის დაბრუნებული.

აღნიშნული ვარაუდის შესარყევად მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ ქვითრის შინაარსი არასწორია. შესაბამისად, მან უნდა წარადგინოს მტკიცებულება მის მიერ გაკეთებული განცხადების თაობაზე, რომლის მიხედვითაც მოპასუხემ ბოროტად გამოიყენა მოსარჩელის მდივნის მიერ ხელმოწერილი ცარიელი ქვითარი. არ არის საკმარისი მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ვარაუდის საწინააღმდეგოდ მიმართული გარემოებების წარდგენა, არამედ საჭიროა მათი დამტკიცება.

იმის დასამტკიცებლად, რომ მოპასუხემ ბოროტად გამოიყენა მოსარჩელის მდივნის მიერ ხელმოწერილი ცარიელი ქვითარი, მოსარჩელემ მიუთითა მოწმე ელენე ნოზაძის ჩვენებაზე.

მოწმე ელენე ნოზაძის ჩვენების შეფასება:

ჩვენების შინაარსი დასამტკიცებელ საკითხთან მიმართებით

მოწმე ელენე ნოზაძე აცხადებს, რომ მას მოპასუხისაგან თანხა არ მიუღია. ამას გარდა, იგი სადავოდ ხდის მის მიერ ამის თაობაზე ქვითრის გამოწერის ფაქტს. მოწმე მიუთითებს გარემოებებზე, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია იმის დასკვნა,

რომ მოპასუხებ 2005 წლის 1-ლ თებერვალს მისი ოფისიდან წაიღო ცარიელი ქვითარი და მოგვიანებით თავად შეავსო იგი.

ჩვენების დამაჯერებლობა

მოწმე 2005 წლის 1-ლ თებერვალს მომხდარის შესახებ საკუთარი ნანახის საფუძველზე მოგვახსენებს. მიუხედავად ამისა, მისი ჩვენება არ არის საკმარისად დამაჯერებელი. იგი განმარტავს, რომ საოფისე საქონლის მოსალოდნელი მოწოდებისათვის ქვითარი დროის დაზოგვის მიზნით წინასწარ გაამზადა. როგორც წესი კი, საოფისე საქონლის მომწოდებელს თავად მოაქვს თავის მიერ შედგენილი ქვითარი, რომელსაც მიმღები მხოლოდ ხელს აწერს. უჩვეულოა და საქართველოში გავრცელებული საქმიანი ჩვეულებებისათვის არადამახასიათებელი ის ფაქტი, რომ საქონლის მიმღები თავად ადგენს ქვითარს. ამასთან, არადამაჯერებელია მოწმის განცხადება, რომ მან ქვითარი დროის დაზოგვის მიზნით გაამზადა, რადგან მოწმემ წინასწარ არ იცოდა მოწოდებული საქონლის რაოდენობა და ნუსხა და შესაბამისად ვერ აღნიშნავდა ამ მონაცემებს ქვითარზე. გარკვეული დროის დაზოგვა კი ამ მონაცემების შევსებით იქნებოდა შესაძლებელი და არა უბრალო ხელმოწერით, რაც არ არის დროსთან დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, გაუგებარია ის ფაქტი, რომ 2005 წლის 1-ლ თებერვალს მოწმემ ჯერ კიდევ მისაღები საქონლის ცარიელ ქვითარს წინასწარ მოაწერა ხელი. მოწმის ვერსიის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ასევე ის გარემოებაც, რომ მას არ გააჩნია არანაირი ლოგიკური ახსნა თავისი ქმედებისა და თავსაც არიდებს სასამართლოს კითხვებს იმ პასუხით, რომ კარგად აღარ ახსოვს, თუ რატომ გაამზადა ცარიელი ქვითარი. ის გარემოება, რომ მოწმე სასამართლოს არ მოახსენებს თავისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, ესეც დამაეჭვებელია. ყოველ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ მოწმეს ამით თანხის მისაკუთრების მოტივის დამალვა სურს.

ზემოთ აღნიშნული ეჭვები მოწმის ჩვენებასთან დაკავშირებით აისახება მოსარჩელის საზიანოდ, რომელმაც, როგორც აღვნიშნეთ, უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხემ ბოროტად გამოიყენა მოსარჩელის მდივნის მიერ ხელმოწერილი და შეუფსებელი ქვითარი. მოწმის ჩვენებით, მოსარჩელემ ვერ შეძლო აღნიშნულის დამტკიცება.

დასკვნა

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლე მოსარჩელისათვის 2005 წლის 1 თებერვალს 1000,00 ლარის დაბრუნების ფაქტს დამტკიცებულად მიიჩნევს.

საერთო დასკვნა

მოსამართლე დააკისრებს მოპასუხეს მოსარჩელისათვის 1000,00 ლარის უკან გადახდას. დანარჩენ ნაწილში კი სარჩელი არ დაკმაყოფილდება. სასამართლო ხარჯები გადანაწილდება მოსარჩელე და მოპასუხეს შორის თანაბრად.

სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ნიმუში

სარჩელი დასაბუთებულია ნაწილობრივ. სსკ-ის 623-ე მუხლზე დაყრდნობით მოსარჩელეს აქვს 1000,00 ლარის მოთხოვნის უფლება.

1. 2005 წლის 4 იანვარს მხარეებმა დადეს ნამდვილი სასესხო ხელშეკრულება 2000 ლარზე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოსარჩელე მოპასუხეს ასესხებდა 2000,00 ლარს, ხოლო მოპასუხე აღნიშნულ თანხას დააბრუნებდა თებერვლის დასაწყისში უშუალოდ მისი პირველი ხელფასის მიღებისთანავე. მტკიცებულებათა შეგროვების შედეგად სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა მთლიანი თანხა. ამ შედეგამდე სასამართლო მივიდა მოწმე ნათია მაისურაძის დამაჯერებელი და ლოგიკური ჩვენების საფუძველზე რომლის მიხედვითაც მოპასუხემ 2005 წლის 4 იანვარს მთლიანად მიიღო შეთანხმებული თანხა 2000,00 ლარის ოდენობით. მოწმემ საძინებელი ოთახიდან თავად გამოიტანა და გადათვალა აღნიშნული თანხა. იგი ფულის გადაცემის ფაქტსაც ესწრებოდა.

მოწმე მაისურაძის ჩვენებას არ ეწინააღმდეგება მეორე მოწმის, კერძოდ მალხაზ ბერიძის, ჩვენება, ვინაიდან იგი საქმისათვის ყველაზე მნიშვნელოვან მონაკვეთში აივანზე საუბრობდა ტელეფონით და, შესაბამისად, არ იმყოფებოდა ოთახში. მამასადაძმე, მას არ შეეძლო დაენახა გადასცა თუ არა მოსარჩელემ მოპასუხეს აღნიშნული თანხა.

სასამართლოს თვალთახედვიდან არ გამორჩენია ის გარემოება, რომ მოწმე მაისურაძეს მოსარჩელესთან, ახლო ნათესაური კავშირის გამო, საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი ინტერესი აქვს. მაგრამ მხოლოდ ამის გამო არ არის აუცილებელი, რომ იგი არ ჩაითვალოს დამაჯერებლად. მოწმე მაისურაძის ჩვენება დეტალურია. მის განმარტებებში არ ჩანს კონკრეტული გარემოებები, რომლებიც მეტყველებს იმაზე, რომ მოწმის ჩვენებაზე ზეგავლენა იქონია ნათესაურმა კავშირმა.

2. სსკ-ის 427-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელისათვის 1000,00 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება აღარ არსებობს. შესაბამისი მტკიცებულების

საფუძველზე, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს მოპასუხის მიერ 2005 წლის 1-ლ თებერვალს მოსარჩელის მდივნისათვის, რომელიც უფლებამოსილი იყო მიეღო თანხა, ზემოთ აღნიშნული თანხის გადაცემის ფაქტს.

მოპასუხის სასარგებლოდ მეტყველებს ის უდავო გარემოება, რომ არსებობს მდივნის მიერ ხელმოწერილი ქვითარი. საერთო ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ მართლაც მოხდა ქვითრით დასაბუთებული თანხის გადაცემა. თუმცა მოწმემ უარყო ფულის მიღების ფაქტი, მაგრამ ვინაიდან აღნიშნულ საბუთს აქვს საკმაოდ დიდი მტკიცებულებითი ძალა, თანხის გადახდის სადავოობა არ არის საკმარისი მის გასაქარწყლებლად. ამისათვის მოსარჩელემ უნდა წარადგინოს ლოგიკური საფუძველი და დაამტკიცოს, რომ საბუთის შინაარსი არასწორია. ასეთი მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარუდგენია. მისი განცხადება, რომ მოპასუხემ მოსარჩელის ოფისიდან წაიღო მისი მდივნის მიერ ხელმოწერილი ცარიელი ქვითრის ბლანკი და შემდეგ ბოროტად გამოიყენა იგი, ვერ დამტკიცდა შესაბამისი მტკიცებულების ამოღების გზით. აღნიშნულის თაობაზე მიცემულმა ჩვენებამ სასამართლო ვერ დაარწმუნა.

მოწმემ დასაწყისში აღნიშნა, რომ მან ქვითარი საოფისე საქონლის მოსალოდნელი მიღებისათვის მოამზადა, რათა დრო დაეზოგა. ეს განცხადება უკვე იმიტომაც არის ალოგიკური, რომ, ძირითადად, საოფისე საქონლის მიწოდებისას, მიმწოდებელს თავად მიაქვს გამზადებული ქვითარი, რომელსაც მიმღები მხოლოდ ხელს აწერს. მეტად უჩვეულო და არადამახასიათებელია ის ფაქტი, რომ საქონლის მიმღები თავად ამზადებს ქვითარს. მოწმის განმარტება, რომ მან დროის დაზოგვის მიზნით გაამზადა ბლანკი, ნაკლებად დამაჯერებელია, რადგან მას არ შეეძლო, წინასწარ სცოდნოდა მომავალში რეალურად მიწოდებული საქონლის ამომწურავი ნუსხა; საქონლის მიმღებს თუნდაც რომ ევალბოდეს ქვითრის შედგენა, გარკვეული დროის დაზოგვა შესაძლებელია მხოლოდ მისაღები საქონლის წინასწარი აღნუსხვით და არა მხოლოდ ქვითრის ბლანკის ხელმოწერით. მოგვიანებით მოწმემ განაცხადა, ზუსტად ვეღარ იხსენებს ბლანკის წინასწარ გამზადების მიზეზს, რითაც მან თავისი ჩვენება შეამსუბუქა და სასამართლოს ვერ მიაწოდა მისი საკმაოდ უჩვეულო მოქმედების ლოგიკური ახსნა. ის გარემოებაც, რომ მოწმეს არ სურდა სასამართლოსათვის განეცხადებინა თავისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, მის საწინააღმდეგოდ მეტყველებს. შესაბამისად, გამორიცხული არ არის ეჭვი, რომ ამ გზით მოწმემ დამალა თავის მიერ თანხის მითვისების მოტივი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ეჭვები ზემოთ აღნიშნული მოწმის ჩვენებასთან დაკავშირებით აისახება მოსარჩელის საზიანოდ, რომელსაც ეკისრებოდა ცარიელი ქვითრის ბლანკის მოპასუხის მიერ ბოროტად გამოყენების დამტკიცება.